# ცისკარი

---

1862

სეკტემბერი.

წელიწადი მეექვსე.

## წოდება თხზულებათა:

—სიტყვა, თქმული ერთის სოფლის ეკლესიაში.. . . . . . გაბრიელ ეპისკოპოზისა.
—მოგზაურთ სადგური. . . გ. დიდებულიძისა.
—სიტყვა თქმული ალექსეევასა ზედა მონაზონისასა. . . . არქიმ. გრიგორისა-მიერ.
—ლექსები სხვა და სხვა მწერლებისა.
—გიორგის IX მეფობა. . . თეიმურაზ ბატონიშვილისა.
—ერთიოდე სიტყვა „ცისკარზედ". თერგდალეულისა.
—სხვა და სხვა ამბავი. (იხილე მეორე გვერდზედ.)

---

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# ცისკარი

# ცისკარი

## ქართული

### სალიტერატურო ჟურნალი.

გამოიცემის ი. კერესელიძის-მიერ.

სექტემბერი.

წელიწადი მეექვსე.

«თუ შეიყვარო სმენად,—მიითვალე, და
უკეთუ მიუპყრა ყური შენი,—ბრძენ იქმნე.»
(წიგ. ისო ზირ. თავი 6. მუხ. 34.)

---

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

1862

# სიტყუა.

თქმული გაბრიელ ეპისკოპოზისამიერ ჩყჲ-ს წელს, ერთს სოფლის ეკკლესიასა შინა. დაბალის ხალხისადმი.

საყვარელნო ძმანო ქრისტიანენო.

ვგონებ თქუენ ყოველთა გაგიგონიათ და იცით, რომ ლ ვისაც სურს რომ იგი იყოს ნამდვილი და ჭეშმარიტი ქრისტიანე და აცხოვნოს სული თჳსი, უნდა ჰქონდეს ორი ესე: მართლ მადიდებელი სარწმუნოება და კეთილი ყოფაქცევა, ღუთის მადლით მართმადიდებელი სჯული, ანუ სარწმუნოება, გვიპყრიეს ჩუენ ყოველთა მტკიცედ; ვერავინ იტყჳს, რომ ჩუენ არ გვახსოვდეს რომელიმე წესდებულება ანუ ბძანება სჯულისა; რაც ვისწავლეთ და მივიღეთ წმინდათა მამათაგან ის ყოველი გვახსოვს და გვწამს, გარნა კეთილ ყოფაქცევაში და სჯულის აღსრულებაში ვართ ფრიად სუსტნი და ნაკლულევანნი. ხოლო უფალი ჩუენი იესო ქრისტე წმინდასა სახარებასა შინა გვასწავებს ჩუენ, რომელ ჭეშმარიტი მისი მოწაფე არს მხოლოდ იგი, რომელი აღასრულებს მცნებათა მისთა. არა საკმაო არს სულის ცხოვნებისათჳს მხოლოდ სარწმუნოება, არამედ სარწმუნოება შეერთებული საქმისათანა ყოველმან კაცმან უნდა ეცადოს რომ განიწმინდოს თავი

თჳსი ბოროტებისა და ბილწებისაგან; ყოველმა კაცმა უნდა განიკითხოს თავი თჳსი განიცადოს გული თჳსი და იცნას რა ცოდვა ბუდობს მას შინა, რა ნაკლულევანებას სჭირს მას.

ამისთჳს მე მსურს ძმანო დღეს მოკლეთ გითხრა თქვენ რა ნაკლულევანეეა და რა ცოდვა შევნიშნე საზოგადოდ ამ ქვეყნის მცხოვრებთა შორის. პირველი და უსაშინელესი ჩვენი ცოდვა ის არის, რომელ სიყვარული და ერთობა ჩვენ შორის არ არის; არ დარჩა თანხმობა და კეთილ განწყობილება მოყვასთა შორის, აღარ გვახსოვს უმთავრესი მცნება ღვთისა: შეიყვარე მოყვასი ვითარცა თავი შენი ამ მცირე ჟამის განმავლობასა შინა რაც აქ მე მოვსულვარ, ისრე არაფერი არ მაკვირვებს და მაწუხებს როგორც საზოგადო განხეთქილება, მტერობა შური შურისძიება და სიძულილე, რომელი სუფევს ქვეყანასა ჩვენსა, არათუ მეზობელთა შორის აღარ არის სიყვარული, და მოყვრობა, არამედ ნათესავნი და მახლობელნი უმეტესად არიან განხეთქილნი; ძმა ემტერება ძმასა, მამა და შჳლნი ვეღარ სდგებიან ერთად; დედანი ხშირად სწყევლიან შობილთა თჳსთა, ძენი აღარ ემორჩილებიან მშობელთა თჳსთა, საშინელ არს და საზარელ წარმოდგინება ამის ყოვლის. ამოდენი ჩივილი, დავა და მტერობა. რაც ამ პატარა ქვეყანაში არის, არსად არ გაგონილა ქვეყანაზე: სხვა ქვეყნებში ძმანო, როგორ შეიძლება, რომ მამაშჳლს ანუ ძმა ძმას გაეყაროს. პირველად რომ სირცხვილი არის; და მეორედ ოჯახის დაცემა, თქვენც იცით რომ რაც მეტი მუშაკი არის ოჯახში ის ოჯახი უფრო გაკეთებული არის და აშენებული, გარნა აქ როგორ შეიძლება რომ ძმან ძმასთან გასძლოს; თუ როგორმე ძმები კარგათ იქმნებიან ერთმანეთში რძლები მაინც ვერ გასძლებენ ერთად ვერაოდეს.

ამ მიზეზისაგამო ოჯახი არის დაცემული და ღარიბი; თუმცა ღუ̂თის მადლით, მიწა და მამული გვაქუ̂ს ფრიად ნაყოფიერი, მარა მაინც ღარიბნი ვართ. ამ მშუ̂ჱნიერ მამულში რომ იდგნენ ვინმე უცხო თესლნი ძლიერ მდიდარ და გაკეთებული იქმნებიან. ცხად არს რომელ ჩუ̂ჱნმა უთანხმოებამ და განხეთქილებამ არა თუ სულით წარგწყმიდა, არამედ აქაც, ქუ̂ჱყანაზე გაგვაფუჭა და დაგვამდაბლა.

მეორე ჩუ̂ჱნი ვნება და ჭირი უმეტესად კეთილშობილთა შორის არის უსაქმოება უქმად დროების განტარება. ახლა ძმანო ისრეთი დროება და ჟამი მოიწია, ყოველი კეთილშობილი კაცი უნდა დაადგრეს რომელსამე საქმესა და იყოს შრომაში დაიზარდოს თავი თჳსი შრომითა თჳსითა. ძუ̂ჱლ დროშიდ კეთილშობილთა არა შეძლოთ სხუ̂ა საქმე რაჲმე გაეკეთებინათ, თჳნიერ ომობისა და ლაშქრობისჳ, ვინაჲდგან მაშინ მრავალთა მტერთაგან იყო შევიწროებული ქუ̂ჱყანა ჩუ̂ჱნი და არა ჰქონდათ მათ დრო, თჳნიერ ომობისა, გარნა აწ მოგვცა მშჳდობა. შრომა და მუშაობა არა დაამდაბლებს კაცსა, არამედ უქმობა უმეტესად წაახდენს და დაამდაბლებს კეთილშობილსა წოდებასა, უქმად მყოფი ადჳლად იზამს ყოველსა ცოდვასა. გონება და გული მისი მიდრეკილ არს ყოვლისა ბილწებისადმი. ხოლო კაცი რომელსა არა აქუ̂ს მოცალეობა და ყოველთჳს არს საქმეში ადჳლად ვერ შესცდება. რაჲსათჳს განმრავლდა კეთილშობილთა შორის ურიგოება და სჯულის ხდომა, რაჲსათჳს გვესმის მრავალნი შემარცხვინებელნი საქმენი მათ შორის, თუ არა უქმობისაგან.

მესამე ჩუ̂ჱნი ცოდვა ის არის, რომელ არა გჳყვარს სიმართლე არც ლაპარაკში და არც ყოფაქცევაში, ყოველთჳს ბრუნდეთ ვლაპარაკობთ და ბრუნდეთ ვიქცევით.

მაცხოვარი გვასწავებს: ნეტარ იყვნენ რომელთა შიოდეს
და სწყუროდეს სიმართლისათჳს, რამეთუ იგინი განძღნენ.
ასრე უნდა უყვარდეს კაცსა სიმართლე როგორც მშიერს
კაცს სურს და უყვარს პური; მაგრამ სად არიან ჩუ͡ენში
მოყვარენი სიმართლისანი? ყველანი მას ცდილობენ, რო-
მელ დამალონ სიმართლე, ანუ დააბნელონ იგი. სქმემა
იქამომდე მიაღწია, რომელ მესმა ვითომც ზოგნი მო-
წოდებულნი მოწმედ ფიცის ქუ͡ეშეცა იტქჳან სიცრუესა;
მარა ამას არ დავიჯერებ. ისრე როგორც გაჭუჭდება სჳ-
სჳნიდისი, ისრე როგორც გაგჳწყრება ღმერთი, რომელ ფი-
ცი დაგვავიწყდეს, იქმნება თქუ͡ენც გაგიგონიათ და თჳთ
ჩუ͡ენ შორის არის მრავალი მაგალითი რომელ ამომწყ-
დარა ზოგი ოჯახი სიცრუით დაფიცებული.

ბოლოს ძმანო. ამასაც დავამატებ თქმულზე რომელ
მესმა მე თქუ͡ენ შორის ვითომც იყოს მკითხაობა ამაზე
ჯალი მაქუ͡ს გითხრა, რომ წმინდანი მამანი აღუკრძალვენ
ვითართა ზიარებასა, და ვინც მივა მკითხავთან თითქმის
სჯულზე ვარი უთქუ͡ამს ვინც ჭკუიანსათ იფიქრებს და
კარგათ გამოსცდის იგი მალე მიხუ͡დება როგორც ატყუ-
ებენ მკითხავები მოკლე ჭკუის კაცთა. ბევრი გამიგონია
მე რომ მათგან იყოს წახდენილი კაცი და ბევრი ავათ-
მყოფი მკუ͡დარი მათითა უმეცრებითა.

ვეცადოთ ძმანო რომ სჯული ქრისტესი აღვასრუ-
ლოთ ხაქმით, და გამოვაჩინოთ ჩუ͡ენი სარწმუნოება
ყოფაცევაში. გვახსოვდეს რომ მარტო სარწმუნოება ვერ
გვაცხოვნებს, თუ არ შევაერთეთ მასთან ყოფაქცევაცა.
კეთილი ქრისტიანე ცუდათ მცხოვრები უარესად აჯავ-
რებს ღმერთს, ვიდრე მოუნათლავი უსჯულო, და უარე-
სადცა დაისჯება, რომელიც ღმერთმან განაშოროს ჩუ͡ენ-
გან ამინ.

## მოგზაურთ სადგური უდაბურს მინდორში.

ერთს დეკემბრის ღამეში, როდესაც, როგორც იტყჳან, ქუ̂ჱყანა ღუ̂თისა თვალით არა ჰსჩანს, და კორიანტელი ღმუვის და ბოროტებს; როდესაც სარკმელთ გაუდისთ რახა-რუხი, და ბებერი, მწოლარე ფეხზედ ოხრავს და იწერს პირჯუ̂არსა,--ერთს იმისთანა ღამეში მიდიოდა უხალხო მინდორზედ ყმაწჳლი სტუდენტი სემინარიისა; მიდიოდა იგი შობის დღესასწაულზედ ქალაქიდამ, სადაც იგი სწავლობდა,--სოფელში, სადაცა მამა მისი იყო მღუ̂დლათ. ქალაქიდამ სოფლამდინ იყო ორმოცი ვერსტი; სტუდენტი გამოვიდა ქალაქიდამ დილით

ადრე და იმედოვნებდა საღამოზედ იმავ დღისა იგი იქნებოდა შინ. იგი წინ და წინ წარმოიდგენდა თუ რა სიხარულით მიეგებებოდნენ მას მისნი მოხუცნი დედა მამა, თუ რა სიხარულით გაიელვებდნენ თვალნი მისის დისა, და რა რიგათ გამოსცვივდებოდენ სახლიდამ ორი პატარა მისი ძმა, რომელთათჳსცა მას ჰქონდა ჯიბეში ორი პატარა იაფი სათამაშო; მაგრამ შუადღიდამ ამოვარდა ქარი, ატუდა კორიანტელი, და სტუდენტმა უთოვოთ დაჰკარგა გზა, ამიტომ, რომ დასდევა ღამე და სამშობლო მისი სოფელი ჯერ კიდევ არსად სჩანდა. მდგომარეობა საწყლის სტუდენტისა იყო საშინელი. ბოლოს დაბნელდა და საშინელი კორიანტელი სცემდა მას გულში და პირში და უვსებდა კისერს თოვლით. თითქო ცდილობდა უთოვოთ წაექცია; თუ მართლად დაცემულიყო, მაშინ ქარი რამდენსამე წუთში წახურავდა მას მთელს ზვინს თო-

ვლისას და დამარხავდა მას თოვლ ქვეშ.

მოგზაური გაამოდიოდა უკანასკნელის ღონიდამ, ძლივს გადაადგმიდა ფეხსა და თითონ არ იცოდდა საით მიდიოდა, მუხლები ეკეცებოდა,, ფიქრები ერეოდენ და გრძნობანი მისნი აღარ მოქმედებდენ, იგი თუთქმის ვეღარცკა რას ხედავდა, აღარც არა ესმოდარა; მას უნდოდა დამორჩილებოდა თავისს ბოროტს სვესა, დაცემულ იყო მიწაზედ დაა დაეძინა; მაგრამ ჰქონდა კიდევ იმდენი გრრძნობა, რომ თუ იგი დაემორჩილებოდა იმ სურვილსა, მაშინ აუცილებელად იგი დაიღუპებოდა. ათი წამი კიდევ ებრძოლა სასო წარკვეთილის გრძნობით ტაროსსაა: ძალდატანებით ამოაძრობდა ხოლმე ფეხეებსა ღრმის თოვლიდგან, მაგრამ მით გზაასკი ცოტას იმოკლებდა. ბოლოს დაჰკარგაკა უკანასკნელი წვეთი ძალისა და დასუსტებული დაეცა თოვლზედ. დაიღუპებოდა საწყალი სტუდენტი აუცილებ-

ლად, თუ რომ ვიღასაც ძლიერს ხელს
არ აეყენებინა და არ წაეყვანა იგი ძალათ.
უაზროთ, უგრძნობლად სტუდენტი მოზდევდა უხილავსა კელსა, და ხუთის წამის
შემდგომ იგი გაჩერდა ერთის დიდის ჩინებულათ განათლებულის სასახლისა წინ,
საიდამაც ისმოდა ხმა მუზიკისა და მხიარული ხმიანობა სტუმრებისა. სტუდენტი
ამღვრეულად გრძნობდა, თუ როგორ აიყვანა იგი უცნობმა კეთილ მოქმედებამ კიბეზედ, გააღო მის წინ კარი და თჳთქმის ძალათ შეაგდო იგი ტფილსა და განათლებულს ოთახში. დიდის სიბნელიდგან
დიდს ნათელში გარდასვლა იყო ისე მოულოდნელი საწყალის სტუდენტისათჳს, რომ იგი
ჰკარგავდა უკანასკნელს გრძნობასა, და ის იყო
უნდა დაცემულიყო ჰოლზედ, მაგრამ იქ მყოფთა სტაცეს კელი და დასვეს იგი მდივანზედ.
მალე გრძნო სტუდენტმა, თუ ვითარ
სანუკეშო სიტფომ დაუარა მას გაშეშებულთ

ზსეულის სახსრებში და გახსილა თვალი. მის წინ იდგა მშვენიერი ტურფა ქალი; იგი თავისს ტფილს ჴელებში უთბობდა მას გაყინულს ჴელებს და შეჰყურებდა მას თვალებში ისრეთის ალერსით, ისრეთის სინაზით და მონაწილეობით, რომ მაშინვე შეუყვარდა მას იგი.

შენ ძრიელ დაღალული ხარ, და იმიტომ უთოვოთ გეშივება, უთხრა ბოლოს მან სტუდენტსა: წამომყევ მე, მე შენ გაჭმევ საჭმელსა.

სტუდენტი მდუმარებით ემორჩილებოდა იმის ალერსიანს ხმასა; მას ეჩვენებოდა, რომ ის იყო ხმა მისის დედისა: მშვენიერად მორთულსა ტფილსა და ნათელს ოთახში, რომელშიაც მან შეიყვანა სტუდენდი, იყო გაშლილი მრავალი სტოლი, და იმათზედ ნადიმობდა მრავალი ხალხი. სტუდენტს რცხვენოდა შესვლა იმ დიდს შეკრებულებაში თჳსის ძველის გა-

წუწვილის ტანისამოსით; მაგრამ, როდესაც უცებ შეიხედა დიდს სარკეში, რომელიც ეკიდა კედელზედ მან შენიშნა, რომ ტანისამოსი ჰქონდა მას გამოცვლილი, უთოვოთ იმ დროს, როდესაც იგი იწვა უგრძნობლათ.

აი ადგილი, რომელიც მე შენ მოგიმზადე, ჩემო სასურველო სტუმარო, უთხრა სტუდენტს მშვენიერმა ქალმა, მიიყვანა რა იგი დახურულს სტოლთან, დაჯექ აქა და შეექეც როგორც გინდოდეს.

სტუდენტმა დიდ ხანს არ იხვეწია მშჳჱნიერი ქალი, იგი მართლათ გრძნობდა განუზომელს შიმშილსა, და საჭმელები, რომელიც მოჰქონდა მასთან მშჳჱნიერს ქალს, ქრებოდენ ერთის წამის ყოფაში. თითონკი ქალი უჯდა პირდაპირ სტუდენტს სტოლზედ დაყუდებული და სტკბებოდა იმის მშჳჱნიერის მადით; ბოლოს სტუდენტი გაძღა. მშჳჱნიერი ქალი ჰკითხავდა,

თუ, ხომ არა სურს მას კიდევ საჭმელი.

მე დამრჩა მხოლოდ ერთი რამ, მიუგო სტუდენტმა, ესე იგი, შემოგწირო მხურვალე მადლობა შენის კეთილ სულობისათჳს და დედობრივის მზრუნველობისათჳს. მითხარ, რას უნდა გიწოდებდე შენ ჩემო მხსნელო? მიწოდე მე დედად, თუ შენ ეს სახელი მოგწონს, მიუგო კეთილმა ქალმა, და მე შენ გიწოდებ ხოლმე შჳლად; მაგრამ მადლობის ღირსი მე შენგანკი არა ვარ, ამიტომ რომ, რაც მე შენ მოგეც ჩემი არ არის, მეც ისეთი სტუმარი ვარ აქ, როგორც შენ, და თუ შენს გულში არსებობს მართლად მადლობა, მაშ მიიქეც კეთილის უფლისადმი ამა სახლისა, რომელმაც ააშენა ეს სახლი ამ უდაბურს მინდორში საწყალთ მოგზაურთათჳს, გაანათლა, გაატფო და გაამზადა მათთჳს სასმელ საჭმელი. მან შეგნიშნა შენ სიბნელეში, გამოგიშჳრა კელი შემწეობისა, შე-

მოგიყვანა აქა და ჩამაბარა მე ზრუნვა შენზედ როგორც საკუთარსა შვილზედ.

ვინ არის ის უფალი სახლისა, და სად უნდა ვიპოვნო მე ისი? მიჩუენე მე იგი სასურველო დედავ, გული ჩემი სავსე არის მისდამი მადლობითა.

ვხედავ შენ კეთილის გულისა ყოფილხარ, უთხრა მას დედობილმა, უნდა გითხრა მე შენა, რომ უფალი ამ მშუენიერის სახლისა არ ეჩუენება არაოდეს სტუმრებსა, და არავის ჩუენგანსა ის არ უნახავს ჯერა.

მაშ რა რიგათ უნდა შევსწირო მე იმას მადლობა? ჰკითხა მას სტუდენტმა, ჩუენ მართალია მას ვერა ვხედავთ, განაგრძო ქალმა, მაგრამ ისკი ჩუენ ყველასა გვხედავს; მან ისიც იცის, ჩუენ რასაცა ვფიქრობთ ანუ რას განვიზრახავთ, და ის ხედავს შენს გულში მადლობას, რომელსაც შენ გრძნობ, მაგრამ ცოტაა მად-

ლობა სიტყვებით, საჭიროა მადლობა საქმითაც.

რით შემიძლიან გარდახდა მადლობისა მე საწყალს სტუდენტსა? შენ თითონ იცი, რომ ეს ტანისამოსიც, რომელიც ზედ მაცვია ჩემი არ არის.

ნუ გრცხვენიან მაგისი, მჯლო ჩემო! აქ, ყველანი, ვისაც შენ ხედავ, ჩაცმულ და მაძღარ არიან იმის უხვს ანგარიშზედ. რასაც აქ ხედავ, სულ იმას ეკუთვნის, მაგრამ ეს მაინც ვერ დაგიშლის შენ უჩ-ჳჱნო საქმით შენი მადლობა უფალსა ამა სახლისას.

მითხარ მე დროზედ, რით შემიძლიან? მე ჩემის სიცოცხლით ვალდებულვარ იმისი; მე მზა ვარ მივსცე მას ჩემი სიცოცხლე თუ საჭირო იქმნება; აბა სხჳა რა შემიძლიან.

იგი ითხოვს ძრიელ მცირესა, უთხრა მღიმარებით მშჳჱნიერმა ქალმა, გასხოვ-

დეს ნიადაგ, რომ შენ აქ სტუმარი ხარ; ნუ მოახდენ ნურავითარს უწესოებას აქა; მოიქეც ისე, როგორც შეეფერება პატიოსანს კაცსა; იყავ ზრდილი, ალერსიანი, ყველას მორჩილი და დაავალე ყველა სტუმარს რითაც შეგეძლოსთ,—აი რას ითხოვს მეუ-ფე ამა სახლისა.

ღმერთო ჩემო! მიუგო სტუდენტმა: ეს არის ვალი ყოვლის პატიოსანის კაცისა, რომელიც შედის სხვის სახლში სტუმრათ. ახლა ეს მითხარით მე, თქვენ, სასურველო დედავ: დიდ ხანს შემიძლიან მე ყოფნა ამ მშვენიერს სახლში? და ამ კითხვაზედ ცო-ტა ათრთოლდა ყმაწვილი კაცი, ამისათვს, რომ იმ დროს იმან გაიხედა ფანჯარაში და შენიშნა, რომ ღამე იყო ბნელი და საზარელი.

ჯერ ადრეა მაგაზედ ფიქრობდე, მიუგო დედამ; ყოვლის სტუმრისათვს მოვა თა-ვისი დრო აქედამ გასვლისა; უხილავი

ფრთიანი მოსამსახურე უფლისა, დასდებს თჳსსა ხელსა მას, ვისაც მოუა დრო წასვლისა და გაიყვანს სახლიდამ. მაგრამ ნუ გეშინიან საყვარელო შჳლო, დაუმატა დედამ, შენიშნა რა, რომ სტუდენტმა მწუხარებით დაღუნა თავი; ჩუჱნს უფალს აქჳს სხჳაც მრავალი ამისთანა სახლი; მოდი გაიხედე ფანჯარაში და შესედე უშიშრათ აი ამ ღამეს. ხედავ რამდენი სასამთლე ანათებს იქ შორსა? რიცხვიც არა აქჳსთ მათ! ისინი ყველა ამისთანა სახლები არიან, როგორც ესა. ვისაც აქ თავი უჭირავს როგორც რიგია, იმას უხილავი მოსამსახურე გადიყვანს ერთს იმ მშჳჱნიერს სახლში; და ვინც ივიწყებს ზრდილის სტუმრის ვალდებულებას, მას იგი დაუტევებს ტანტალობდეს ამ ბნელს უდაბნოში. ჩუჱნი სახლის პატრონი არის მდიდარი, შემძლებელი, კეთილი უკუნისამდე. ვინც მას მიენდობა, როგორც მე მამასა, არა ოდეს

არ დაუტევებს არც აქა და არც იქა.

გული ჭაბუკისა აღივსო ცხოველის მადლობით და კეთილის მოწიწებით უხილავის მეუფისსადმი, და იგი სწუხდა მხოლოდ ერთზედ, რომ მას არ მალედო ნახვა მისი, და ცრემლიანის თვალით დავარდა მის ფერხთ წინ.

იცხოვრე ისე, როგორც მას სურს, განაგრძო მშვენიერმა ქალმა; ნუ დაივიწყებ ნურაოდეს მას; გიყვარდეს იგი და აღასრულებდე მის ნებას; გიყვარდეს მისნი სტუმარნიც, როგორც საკუთარნი ძმანი; მსახურებდე და შეეწეოდე მათ რითაც შეგეძლოს და მაშინ შენც თითონ ნახავ მას, როდესაც დრო მოვა ამისი.

შენ თითონ გინახამს როდისმე ის, ჰკითხა მას სტუდენტმა...

მე აკი გითხარ, რომ არავის აქ მცხოვრებს იგი არ უნახავს მეთქი; ჩუენ ყველა ვართ აქ სტუმრათ, და უცლით ადგილებს

კუმრებს, როდესაც აქედამ გავდი-

საიდამა სცან შენ ეს ყოველივე, რაც ეხლა მე შენ მიამბე?

პირჳჱლად მე ეს მაგრძნობინა ჩემმა საკუთარმა გულმა, მიუგო მშჳჱნიერმა ქალ-მა, მეც ისე, როგორც შენ, ვეძებდი მეპო-ვნა ის, ვინც ღირსი იყო მადლობისა, ცხოვრებისათჳს ამ მშჳჱნიერის სახლში, სითბოსთჳს, სასმელ საჭმელისა და იმ ბე-დნიერებისათჳს, რომელსაც ჩჳჱნ აქ გამო-ვსცდით; მე ვპოვე მაშინ ერთი მოხუცი, რომელიც სცხოვრებს აქა იმ დროჲდგან, რაც ეს სახლი აუშენებიათ; მას უნახავს სახლის პატრონი პირისპირ და უანბობს ამას ყველას, ვისაცკი სურს.

აი ის მოხუცი! შეხედე: ის მოდის აქა; მე მინდა შენ გაგაცნობო იმასა.

ამ დროს წარმოსდგა მოხუცი ჭაღარა როგორც თეთრი მერა, გარნა მაღალი და

მხნე. იგი იყო ჩაცმული გაცვეთილის ხა-
ვერდის ტანისამოსით, რომელიც ჰგავდა
სამღჳდლოს ტანისამოსსა, და იყო და-
ყუდებული ყავარჯენზედ; შიშველი, მაღალი
შუბლი აჩჳენებდა, რომ ის უნდა ყოფილ-
იყო დიდი ბრძენი; ლურჯი დაფიქრებული
მისი თვალები იყურებოდენ ალერსით, თუ-
მცალა იყვნენ ცოტათ დაღონებულნი; თეთ-
რი, როგორც თოვლი, წვერი მისი იშლე-
ბოდა მისს განიერს გულზედ.

წმინდა მამავ, უთხრა მოხუცსა, აკოცა
რა კელზედ, სტუდენტის დედად წოდებულ-
მა: აი ჩემა მე; გევედრები ნუ დაუტევებ
ამას, როგორც მე არ ვიყავ დატყვევებული
შენგან ჩემს სიცოცხლეში, რაც აქა ვარ; ას-
წავე მას იგივე, რასაც მე მასწავებდი; ნუ
მიუშვებ მას, რომ მან დაჰკარგოს გზა, და
ოდესაც მოვიდეს დრო მაგისი, მიიყვანე
იგი მეუფისადმი სახლისა; იყავ ამის მა-
მად, მეგობრათ და მოძღვრათ; იყავ მაგი-

სთჳს ჩემს მაგიერათ; დრო ჩემი მოახ-ლოვებულარს.

შენ კარგათ იცი, უთხრა მოხუცმა მშუჱნიერს ქალსა; რომ მე არავისთჳს უარი არ მითქუამს ჩემს მფარველობასა და რჩევაში; მაგრამ იცი ისიც. რომ ყველას არა სურს სარგებლობდეს ჩემის მფარვე-ლობით, მაგრამ მე იმედი მაქუს შენი შჳ-ლი იქმნება მსგავსი შენი; მაშინ ჩუჱნ ერთ-მანერთს აღარ დავშორდებით და მე ჩავა-ბარებ მას ფრთოვანს მოსამსახურეს მე-უფისასა.

დრო არის ახლაკი ჩუჱნ დავშორდეთ ერთმანეთს, უთხრა მშუჱნიერმა ქალმა სტუ-დენტსა; წაჰყევ წმიდას მამასა, არ დაშორ-დე მას არც ერთს წამსა; ეგ განჩუჱნებს შენ ყოველსავე, რაცკი აქ არის. გიყვარ-დეს ეგ და ემორჩილებოდე მას, საყვარე-ლო შჳლო.

ხმა მისი იმ დროს თრთოდა. სტუდენ-

ტმა შეხედა მას. სახე მისი იყო სევდია-ნი და საშინლათ ფერმკრთალი. მშჳდობით, უთხრა მას მშუჱნიერმა ქალმა, გაუშჳრა კელი თჳსი, ცივი, როგორც ყინული. მშჳდობით. იყავ ბედნიერი!

სტუდენტს უნდოდა ეტაცნა კელი მშუჱ-ნიერის ქალისათჳს; მას ემძიმებოდა და-შორება ამასთან,მაგრამ იგი აღარსად იყო, განქრა უცეფ.

დააწვა დიდი სევდა საწყალს ჭაბუკსა, რომელმაც მიიხედ-მოიხედა და შენიშნა, რომ სულ უცხო უცნობნი პირნი უდგნენ წინ და იმათში ერთი მხოლოდ ნაცნობი მოხუცი, რომელიც ჩასცქეროდა მას თვალ-ში ალერსით და მონაწილეობით.

წავიდეთ შჳლო ჩემო, უთხრა მან ჭა-ბუკსა; მე მიყვარდა დედა შენი და იმედი მაქუს ჩუჱნც ვიქნებით მეგობრები: წავი-დეთ, მე გაჩვენებ შენ ყოველსავე, რაც აქ არის: ნახე ყოველივე და ადიდე სიბრძნე

და მოწყალება ამ სახლის მეუფისა. ნუ ინაღვლებ შენს დედაზედ; გამიგონე ყველა რაც გითხრა და მოვა დრო, როდესაც შენ კიდევ ნახავ იმას.

სტუდენტი გაჰყჳა მოხუცსა და დაიარეს ურიცხვენი ოთახნი დიდის სასახლისა და იყო განცჯფრებული მორთულობით, სიმდიდრით და სიმშჳჱნიერით შენობისა. მაღალნი ჭერნი ლაჟვარდის ფერნი იყვნენ შეკრულნი თაღებათ და ისე ოსტატურად თითქო ადიოდნენ პირდა პირ ცაში: იგინი იყჳნენ მორთულნი ოქროს და ვერცხლის ვარსკჳლავებით და მსუბუქნი ღრუბელნი იყვნენ გაფენილ აქა იქ კელით ჩინებულის ხუროთ მოძღვრისა. კედლები მათნი თითქმის სრულიად სჩნდნენ; ისინი იყვნენ დაფარულნი მშჳჱნიერის ცხოველის მცენარეებით, ზოგნი მათგანნი ჰყვაოდნენ და ზოგს ესხა ნაყოფი, მათს ტოტებზედ გოგმანებდენ იშჯათნი ქჳჱყნის მფრინველნი.

მშვენიერნი სურათნი, ნახატნი ისეთის ოსტატობით, რომ თვალს ატყუებდნენ, იყვნენ მრავალნი შადრევანნი, აგრილებდნენ ჰაერსა, სავსეს კეთილ სურნელებით; ზოლე ბი იყვნენ მოფენილნი ძჳრფასის რბილის ხალიჩებით.

ყოველივე, რაც გაეკეთებინა სახლის პატრონს, იყო მშვენიერი და აჩვენებდა იმის დიდს გონებას და განუზომელს კეთილობას; მაგრამ ერთი რამ იყო იქ განსაცჳფრებელი და შესაზარებელი; მრავალნი იქ მყოფნი სტუმარნი იქცეოდნენ სამაგლათ.

ერთს ოთახში, დიდს სტოლზედ ოცამდინ კაცი იქამდინ ურიგობდენ, რომ ყმაწვილი სტუდენტი შედგა და განცჳფრებით დაუწყო ყურება ხან მათ და ხან თავის წინამძღოლს კეთილს მოხუცსა. ძჳრფასი ღჳნო იყო დაღვრილი სტოლზედ და იატაკზედ; ისმოდა მხოლოდ სიმთვრალის

უგუნური ლაპარაკი და გინება; ზოგი ერთნი მოლხინეთაგანნი, მთვრალნი იწვნენ სტოლს ქუჱშ. ზოგი ერთნი ძლივს სულს ითქმიდნენ გაძღომისაგან, და ჰქონდათ კიდევ ხელი გაშვერილი ძჳრფასის სასმელ-საჭმელისაკენ.

ღმერთო ჩემო! სთქუა შეწუხებით სტუდენტმა, რას ვხედავ მე ამას! ვითარ სამწუხაროდ უნდა იყოს ეს მეუფისათჳს ამა სახლისა; ვითარ უგუნურათ იხარჯჳს აქ ძჳრფასნი ნიჭნი და უხვებანი კეთილის მოქმედისა?

იმას არა შურს ნიჭნი, ამისთჳს, რომ მას იგინი აქუს ურიცხვნი, მიუგო მოხუცმა, მას მხოლოდ ეწყალვის ეს უგუნურნი; ძნელი სანახავია მისთჳს ამათი უგუნურობა და გარყვნილი პირნი, და ძნელად გასაგონია ამათი უგუნური ლაპარაკი; იგი ჰსწუხს მხოლოდ მასზედ, რომ ესენი ხმარობენ მის უხუს ნიჭს მისთჳს, რომ მიემსგა-

გავსონ პირუტყვთა უგუნურთა.

მეორეს ოთახში ნახა სტუდენტმა სანახავი ყარესი. იქ სტუმრებს მოსლოდათ ჩხუბი სახლის პატრონის ვერცხლის ბადიებზედ და იქამომდე განცჳფრებულ იყვნენ, რომ არა ღჳნო, არამედ სისხლი იღვროდა როგორც მდინარე: უგუნურთ ეჭირათ დანები, ახჩობდნენ ერთი მეორეს, ქიშპობდენ მასზედ, რომელიც არავის მათგანს არ ეკუთვნოდა, რასაც იგინი უნდა მალე დაშორებოდენ საუკუნოდ.

ერთს ოთახში შენიშნა ყმაწჳლმა კაცმა ერთი საზარელი მოხუცი, რომლისაც უგუნურება გარდაემეტებოდა ყოველსავე, რასაც კი კაცი წარმოიდგენს გონებაში: მიხრწნილი, მთრთოლვარე მოხუცი იგი იჯდა კუნჭულში, და ცდილობდა დაემალა ხროვა ვერცხლის სტაქნებთა, თასებთა და თეფშებთა. იგი თჳთქმის კვდებოდა შიმშილით, მაგრამ მაინც ეშინოდა მოშორებოდა სა-

უნჯესა, რომ იმ დროს არავინ მისულიყო და არ წაეღო იგი.

შეხედე სადამდინ ადის კაცის უგუნურობა! უთხრა სტუდენტს ჭაღარა წინამძღოლმა; სუთის წამის შემდგომ ეს მოხუცი აქ აღარ იქმნება; ვერ წაიღებს აქედამ ვერც ერთს თასსა და ვერც თეფშსა; ყველა აქ უნდა დარჩეს, გარდა მის მოხუცისა, შეხედე როგორ მგელსავით უყურებს ყველას, ვინც ახლოს მიდის იმასთან, როგორ ეშინიან მას, რომ არავინ შეეხოს იმის საუნჯეს.

არა მიმხედი მისა, რომ გარშემო უფლებდა სიმდიდრე და განცხრომა, ყმაწვილმა კაცმა განკვრეებით შენიშნა მრავალნი უბედურნი, მიშველნი და მშიერნი კაცნი, რომელნიც შურით უყურებდენ სანოვავით სავსე სტოლებსა, რომელზედაც შეექცეოდენ ის უბადრუკნი,შეუძლიათ გამოიმეტონ მათთჳსაც ლუკმა პური. განა ესენიც ისეთნი სტუმა-

რნი არ არიან, როგორც სხუანი? ჰკითხა ჭაბუკმა მოხუცსა. დიაღ, ეგენიც ისეთნი სტუმარნი არიან, როგორც სხუანი, მაგრამ ხედავ როგორ ექცევიან მაგათ ისინი, რომელნიც მაგათზედ ძლიერნი არიან. მეუფემ ამ სახლისამ მიანდო სტუმრებს სახლი და შეხედე რასა შვრებიან!

რატომ არ გარეკს მეუფე აქედამ ურიგო სტუმრებსა, დაუძახა ჭაბუკმა, როგორ აძლევს იგი ნებას ამდენის უგუნურებისა და უწესოებისას?

ძეო ჩემო, უთხრა მას მოხუცმა, მეუფეს უყვარს თჳსი სტუმრები: იმან იცის თუ როგორ ბნელი, ცივი და საშინელი ალაგი მიელის ყველას,რომელიც ამ სახლის კედლებს დაშორდება, და ამისათჳს ებრალვის ისინი მას, მოელის, რომ იქნება ესენი ოდესმე განკეთილდენ, გამოიცვალონ,

ყმაწჳლს მოაგონდა თუ რას განსაცდელში იყო იგი, თითონ თოვლიან მინდორ-

ში და ათრთოლდა შიშით.

მართლად შესაბრალებელნი არიან ესენი უთხრა სტუდენტმა, მაგრამ წავიდეთ მოვაგონოთ მათ თუ რა იყვნენ უწინ, ანუ რა არიან ეხლა.

რით ვალდებულ არიან ისინი სახლის პატრონისადმი, და ბოლოს რა მოელის მათ. სახლის პატრონი გარეკს აქედამ.

კარგი, მოაგონე მათ, მათნი ვალდებულებანი; შეეწიე მათ, რომელნიც დაჩაგრულ არიან, მაგრამ გახსოვდეს, რომ ბევრს ჰპოებ შენ დაბრკოლებას; ნეტავი იცოდე შენ თუ როგორ უყვარს თჳსნი სტუმარნი მეუფეს სახლისას; მე შენ გიამბობ რა მოხდა ერთხელ აქა რამდენსამე ხნის წინეთ. როდესაც მეუფემ სახლისამ ნახა, რომ უწესობა საშინლათ განმრავლდა და რომ სტუმართა იწყეს ერთი მეორეს აგლება და ხოცვა, რომ ძლიერნი აიწროებდენ უძლურთა და ყველამ დაივიწყა მე-

უფე ამ სახლისა, მაშინ მან გამოგზავნა თავისი მხოლოდ შობილი მე, რომ მან მოაგონოს მათ თჳსნი ვალდებულებანი და უჩჳენოს მაგალითი თუ როგორ უნდა სცხოვრებდენ იგინი.

მე მეუფისა გამოცხადდა აქა წყნარის სტუმრის სახით, ის არა ჯდებოდა სტოლზედ მდიდრებთან, და შეძლებულებთან, არამედ სცხოვრებდა ღარიბთ საზოგადოებაში, შეეწეოდა უბადრუკთა, კურნებდა უსასყიდლოდ სნეულსა, აჭმევდა მშიერთა, ყველას მოაგონებდა მეუფეს სახლისას; მას უნდოდა დახსნა ყველასი გამოურიცხავად იმ საზარელისა მხვედრისაგან, რომელიც მათ მიელოდათ. თავის არა დიდის ხნის მყოფობაში აქა, მან არათუ არავის რა აწყენინა, არათუ არავის რა წაართვა, არამედ ეწეოდა ყველას ვინცკი საჭიროებდა მის შემწეობასა. არა ყოფილა და არცა არავინ იქნება იმისთანა, რომელ-

საც ეცხოვრნოს ქჳეყანაზედ იმაზედ წყნა-
რად და მშჲდათ; იმისი სალაპარაკო იყო
მხოლოდ სიყვარულზედ, უნდოდა შეერიგე-
ბინა ყველა, და ყველანი დაეახლოვებინა
თავის მამასთან, მაგრამ იცი რით გარდუ-
ხადეს მას ამ გვარს სტუმართა? განბო-
როტებულთა იმის სიტყვებით, რომელშიაც
იყო მრავალი მწარე მათთჳს ჭეშმარიტება,
იგინი შეკრბენ და მოკლეს იგი მისთჳს,
რომ იგი ვითარცა სრული უფალი ყოვ-
ლისა, სცხოვრებდა აქ ვითარცა გლახაკი;
მისთჳს, რომ მას უნდოდა გამოხსნა ყვე-
ლასი! მოქცევა ისე, როგორც ის იქცეოდა.
შენ უეჭველია არ შეგიძლიან, მაგრა ეცა-
დე რაც შეგეძლოს მიბაძო მას.

სიტყვები მოხუცისა ღრმად ჩაენერგა
ჭაბუკსა გულში, მშჲდი სახე მეუფის მისა
განუშორებლად იდგა მის თვალწინ. შეე-
რია რა ხროვასა შინა გლახაკთა, მოხუცთა
ბრმებთა და კოჭლებთა, სტუდენტი ცდილო-

ბდა შესწეოდა რითაცკი შეეძლო! დიდ ხანს დასდევდა იგი მოხუცსა, და გადადიოდა ერთის ოთახიდამ მეორეში და ცდილობდა შეერიგებინა უკმაყოფილონი, და მოეგონე-ბინა მათთჳს მეუფე სახლისა, რომელიც მათ დაევიწყნათ; იყვნენ იქ იმისთანანი რომელზედაც იმოქმედეს სიტყვებთა და მა-გალითმა ჭაბუკისამ, და კიდეც გამოიცვალ-ნენ ისინი; გარნა იყვნენ იმისთანანიც, რომელთაც ამაყათ შეურაცხებით უარჰყვეს რჩევანი ჭაბუკისა; ზოგი ლანძღჳდენ მას, ზოგნი დასცინოდენ; გამოსჩნდნენ სტუმრე-ბში იმისთანანიც, რომელნიც უქნევდენ ჭა-ბუკსა რაც მოხჳდებოდათ კელში და უნ-ნოდათ დაკვრა მისთჳს თავში ანუ სხეუ-ლზედ; ესრედ ღრმათ სწყლავდა მათ სიტ-ყჳა ჭეშმარიტებისა! და როდესაც ჭაბუკი მოინდომებდა ხოლმე მაგიერის გარდახ-დასა, მაშინ მოხუცი მოაგონებდა ხოლმე თჳთ მას თუ ვითარ მეძ მეუფისამ თჳნიერ

დრტვინვისა მოითმინა ცემანი, შეურაცხებანი და თვით სიკჳდილი მათგან, ვინც იზრდებოდა იმისის მშობლის უხვებით.

საშინელმა ხმიანობამ ერთს ოთახში მიიზიდა ყურადღება ყმაწვილის სტუდენტისა და მისის თანამოგზაურისა; მათ შეიხედეს იქა და ჰპოვეს სისხლის ღჳრის ჩხუბი, სანოვაგით სავსე სტოლი იყო წაქცეული ნამტვრევებს ბადიების და თეფშებისას ეგრეთვე სხჳა ვერცხლის ჭურჭელს ქელვიდენ იქ ფეხებით მაჩხუბარნი; ზოგნი აგლეჯდე ერთი მეორეს თმასა, ზოგნი ჰკბენდნენ ერთმანერთს როგორც მგელნი; ყველას ეჭირა ხელში გალესილი დანა; იატაკზედ ეყარნენ ზოგი დახოცილნი და ზოგი მძიმეთ დაჭრილნი, რომელნიც კვნესოდენ საცოდავათ ფეხებ ქვეშ მაჩხუბართა. ჭაბუკმა დაჰკარგა ფერი როდესაც ნახა ეს სამწუხარო სანახავი. ყველაზედ მეტად გული მისი მოსწყლა ერთმა დედა-

კაცმა რომელიც იდგა მუხლზედ გაწეწი-ვლის თმით, დახეულის და სისხლში გას-რილის ტანისამოსით და ცდილობდა დაე-ფარა პატარა თჳსი შჳლები, რომელნიც შეშინებულნი და ფერ მკრთალნი ეკროდენ მას მაგრათ გულში. უბედურს დედას უნ-დოდა გამოსულიყო როგორმე ოთახიდამ მაგრამ იქიდამ მოყოლებული კარებამდინ იყვნენ გაბმულნი მაჩხუბარნი, რომელთაც დანები ელავდენ ჰაერში, და ეშინოდა, რომ ვისიმე მძიმე დანა არ დასცემოდა მისს საყვარელს შჳლებს. იგი ეჳროდა ხმა მაღლა და უმახდა სახლის პატრონსა.

ჭაბუკს ეჩვენა თითქო უხილავმა ხმამ უთხრა მას: «წადი და უშჶელე!» მან ბევ-რი აღარ იფიქრა; გავლო ხროვა მაჩხუ-ბართა, და ვერა შემნიშნავმა თუ რა რი-გათ სცჳოდენ ამის ტანზედ დანები, მივი-და საწყალს დედასთან და გამოიყვანა იგი მისის პატარას შჳლებით.

როდესაც იგი იყო მეორეს ოთახში, მაშინ გამოხსნილი სტუდენტისაგან დედაკაცი მივარდა, დაეცა იმის მუხლის წინ, და მიიკრა რა შჳლები გულზედ, ცრემლიანი, ეუბნებოდა მას მადლობას, მოხუცი, წინამძღოლი ემაწჳლის კაცის, იდგა იქა და უყურებდა მას ალერსიანად და ბოლოს მღვიძვარებით უთხრა მას: შენ შეასრულე შენი საქმე, ახლა შეგიძლიან დაიძინო მოსვენებით.

იმ წამში სტუნდენტმა იგრძნო ძლიერი ტკივილი გულში, და როდესაც დაიხედა გულში, და მისის განიერის დაჭრილობისაგან გადმოდიოდა ნაკადული ცხელის სისხლისა, იმ დროს მუჴლი მოჰკუეთა მას და უთოვოთ დაეცემოდა იატაკზედ, თუ რომ ის არ დაეჭირა მოხუცსა და არ დაეჭირა მოხუცსა და არ მიესვენა თავის განიერ გულზედ.

«მე ვკვდები,» იფიქრა ემაწჳლმა კაცმა

და იმ წამში დაინახა თჳს წინ ფრთოვა-
ნი ჭაბუკი განსაცჳფრებელის მშჳმნიერე-
ბისა, ჩაცმული სპეტაკის თეთრის ტანისა-
მოსით. ფრთოვანი ჭაბუკი უშვერდა
ემაწჳლს კაცსა ჴელსა და ეუბნებოდა: «შენ
შეასრულე შენი საქმე, ესლა წამომყევ მე,
მეუფე სასლისა მიგიწოდს შენ!»

გამოუთქმელმა სასიამოვნო გრძნობამ
დაუარა ძარღვებში ემაწჳლს მომაკჳდავსა,
იგი აკანკალდა და დაიყჳრა სიხარულის
ხმით, დაიყჳრა და..... გამოეღჳმა!

მის წინ ნაცვლად ანგელოზისა იდგა
მისი კეთილი და, დაეჭირა იმისი ჴელე-
ბი; თავი მისი იდო გულზედ მამისა,
მოხუცებულის მღვდლისა; ხოლო
დედა მისი ორის პატარა ვაჟით იდგა
მუხლზედ ხატის წინ და ევედრებოდა ღმე-
რთსა, რომ მან დაუბრუნოს მას უმფრო-
სი საყვარელი შჳლი. სტოლზედ, რომე-
ლიც იდგა ხატების წინ და ენთო კანდე-

ლი, იდო დაბადება გაცვეთილის ხავერ-
დის ყდიანი.

მადლობა ღმერთსა, ძლივს არ მოყვე
გონებას, დაიყჳრა დამ, როდესაც შეხედა
რომ მისმა სასურველმა ძმამ გაახილა
თვალები.

საჭიროა აქ აღწერა თუ რა აუწერელს
აღტაცებაში იყვნენ იმ დროს დანა-
რჩენნი მისნი მახლობელნი?

ყმაწვილი კაცი როდესაც მიდიოდა თო-
ვლიანს მინდორში, დასუსტდა და დაეცა;
ის; უეჭუჱლია, იქ უნდა დალუპვილ იყო,
მაგრამ იმ დროს ერთმა გლეხმა კაცმა,
რომელიც მიდიოდა იმავ დღით მარხილათ
ნახა ისა და როდესაც სცნო გრძნობა
დაკარგულს ყმაწჳლს კაცში შჳლი თჳსის
მრევლის მღჳდლისა, ჩასდო იგი მარხი-
ლში და მიუტანა პირდაპირ მის მამას,
და იმ დროდგან ერთის საათის განმავა-
ლობაში მოჰყავდათ იგი გრძნობაში სრუ-

ლიად მისთა მახლობელთა.

უმაწვილმა სტუდენტმა იმის შემდგომ დიდხანს იცოცხლა. მაგრამ არა ოდეს არ დაუვიწყნია თავისი სიზმარი: მას ყოველ-თჳს ეჩუჱნებოდა, რომ ეს სოფელი არის მხოლოდ სტუმართ სადგური,, რომლისაც კარს გარეთ მიგველის ჩუჱნ მისი უხილავი პატრონი.

დაასრულა რა კურსი სემინარიისა, სტუდენტი ეკურთხა მღუდლად და იყო კეთილის მოქმედი თჳსის მრევლისა. ყოველი უბედური, ღარიბი და მკელობელი უყურებდა მას ვითარცა საკუთარს მშობელსა; მას არა ჰშურდა უკანასკნელი გროში კეთილის საქმისათჳს, და თუმცა იყო თითონაც ღარიბი, მაგრამ არა რაჲ შურდა რაც გაეჩნდა. როდესაც სხუანი აყვედრიდენ მას მისს უგუნურს უხვებას, მაშინ იგი მიუგებდა ხოლმე მათ: ესე ყოველივე არც ჩემია არც შენი; ყოველივე

ესე ეკუთვნის მეუფეს ქჳეყნისასა; ჩჳენ აქ ყველანი ჯართ სტუმარნი და უნდა ვშველოდეთ ერთი მეორეს.

აი ასე ძლიერათ ჩაებეჭდა ჭაბუკსა სულში ის სიზმარი.

გ. დიდებულიძე.

სიტყუ̂ა აღკვეცასა ზედა მონაზონისასა. თქმული დავით-გარეჯის უდაბნოსა შინა, მისივე წინამძღვრის, არქიმანდრიტის გრიგორის მიერ.

«მოვედით ჩემდა ყოველნი მაშუ̂რალნი და ტჳრთ მძიმენი და მე განგისვენო თქუ̂ჱნ.» (მათე, თავი **11.** მუხ. **28.**)

სიტყჳთა ამით მომიწოდს ჩუ̂ჱნ მაცხოვარი და მხსნელი სოფლისა იესო ქრისტე განსვენებასა შინა თჳსის მღვთაებისასა, ვითარცა დაურთავს დასასრულ, რამეთუ: «უღელი ჩემი ტკბილ-არს და ტვირთი ჩემი სუბუქ.» (მათე **11, 30**).

არა არს ტჳრთი ესე მძიმე, ოდესცა კაცი განსჭვრეტს გონებითა თჳსითა; არამედ სასურველ არს და ტკბილ. კაცი მიწისაგან

შექმნილი მიმოეკვეთება სოფელსა ამას მსწრაფლ წარმავალსა და გონიეს, ვითარმცა დაადგრა საუკუნოდ. არა, ნურვინ გონებს ამას, ვინაჲდგან სოფელი ესე საწუთრო და ამაო არს და ყოველი მეის წარვალთ ამიერ; რამეთუ ვითარცა თივა განხმეს იგი.--ამას ზედ იტყჳს წინასწარმეტყველი და ფსალმუნთ მგალობელი დავით: «ათასი წელი, ვითარცა გუშინდელი დღე» (ფსალ. დავით **89**, მუხ. **4**).

ესრეთ სიზმარ არს ცხოვრება ჩუჱნი; მაშა მე გულის-ხმა ვჰყოთ უმჯობესი, დაუსრულებელი და საუკუნო ტკბილი ცხოვრება, რომელსა შინაცა წარვლეს წმიდათა და ყოველთა ნეტართა, ვითარცა აწ ვხედავთ თვალითა ჩუჱნითა და ვუწყით საფლავი წმინდისა მამისა ჩუჱნისა ფრიად მოღვაწის დავითისა, რომელმანცა კლდოვანსა ალაგსა ამას შინა განვლო დღენი ცხოვრებისა თჳსისანი, ყოვლის მოთმინები-

თა, და ჩუენცა თანამდებ ვართ, რათა მოვიღოთ სახე მისი შემძლებისამებრ ღონისძიებისა ჩუენისა; არა მან დაუტევაა ასურეთი და შეუდგა კვალსა მონაზონებისასა; არა დაუტევაა წუთი სოფლის გემოგნება? ეგრეთვე ღუთის მოყვარებით აღსავსე, მოვედ შენცა საყვარელო შჳლო, განეშორე მსწრაფლ წარმავალსა და ხორციელსა ამას სოფელსა და შეიმოსე მალი მაღლით, რომელსა გეგულვების უმაღლეს ყოფა სულიერად! მოვედ და შეიმოსე, სახე იგი, რომელსა ზედა ანგელოზთა გული უთქუამთ ჭვირობად! მოვედ შჳლო და შეიმოსე და განიფრთხე და ნურარას ორგულებ, რომელსა ზედა ყოველნი წმიდანი მამანი და ნეტარნი დამოკიდებულ იყვნენ; ისმინე შჳლო, დღეს გუნდთა ანგელოზთა უხარისთ, და ყოველნი წმინდანი განსცხრებიან ზე აღვანებასა შენსა; ხოლო ეშმაკნი ფრიად ჭმუნვარე არიან. დღეს ანგე-

ლოზთა უხარისთ ყოველთა ზეცისა ძალთა თანა, რამეთუ სახე ეგე, რომელსაცა შეიმოს აწ, ანგელოსებრივად წოდებულ არს; ხოლო ეშმაკნი სირცხვილეულ იქმნებიან! ვითარცა იტყჳს პირი ცხოველი: «წარწყმენდული ცხოვარი ჰპოვოს, ბეჭთა იტჳრთოს, მამასა მიართვას და ზეცისა ძალთა შერთოს და აცხოვნოს იგი». თუმცაღა ჩჳენებრ მორწმუნეთა და სასოთა აქჳსთ რაჲმე ხორციელი ვნებანი; გარნა მაცხოვარი ჩჳენი განსწმედს მათ და შთანთხევს ფსკერსა შინა ქვესკნელისასა. ხოლო მადლი ზეგარდამო მისცემს სიხარულსა და შვებასა მერმესა მას საუკუნესა. თუმცაღა წარმოვიდგინოთ ჩჳენ დატევება ამის სოფლისა, ისილე მოთხრობა იობისა, რომელიცა შთაგვაგონებს ყოფასა მოთმინებათა შინა. რაოდენსა შვებასა და სიმდიდრესა შინა იყო, ვითარცა იტყჳს მუნვე, რამეთუ «არა იყო კაცი მსგავს მისსა

ჭეშმარიტებითა. ხოლო დღესა ერთსა ყოველივე დაუტევა: სახლი, ცოლი, შვილნი და სიმდიდრე ფრიადი. ესე იგი, არა რად შერაცხა მოკლება მათი თჳსაგან; არამედ გული თადითა მინდობილებითა საღმრთო განგებაზედ მარადის იტყოდა: კურთხეულ არს უფალი ღმერთი, ჭეშმარიტი, სულგრძელ და დიდად მოწყალე, მან მომცა და მანვე მიმიღო; იყავნ სახელი მისი კურთხეულ. ესე ყოველივე დაითმინა მისთჳს, რომელ მოელოდა საუკუნოსა განსვენებასა, თუმცაღა დასასრულ არა იქმნა მოკლებულ არცა ქუწუნიერ საშვებელთაგან, რომელიცა ღმერთმანვე დაადგინა თჳსსავე საცხოვრებელსა და უმეტესსაცა ზედა, ეგრეთვე დაჯილდოებულ იქმნა და მიწევნილ ზეცისასაცა საშვებელსა წინაშე დიდებისა მღვთაებრივისა.

განიხილეთ გონებითა, საყვარელნო, კაცი ღუთისა ალექსი, რომელმან დაწინდებული ბეჭედი თჳსი დაუტევა სასძლოსა თჳსისა,

დაფარულად გავიდა სახით თჳსსა ერთსა თჳსვანსა ალაჯსა და რაოდენი სიმდიდრე დაუტევა სახლსა მამისა თჳსისასა და იდუმალ სცხოვრებდა თვალთა მშობელთა თჳსთასა უხილავად, მრავლის შეურაცხებით მრავალთა წელთა. ვითარ გონებთ, ძმანო და შჳლნო ჩემნო საყვარელნო, სიზმარ იყო ანუ მართალ-არს, და უკეთუ მართალ და ყოვლითვე ჭეშმარიტ, მაშა შენცა დღეს შეიმოსე მაშა, დაიდგ თავსა შენსა ჩაფხუტი იგი ცხოვრებისა, რათა სძლიო მტერთა მანქანებათა, სიტყჳსამებრ მოციქულისა პავლესი; აღვიღოთ უღელი ქრისტეს ღ̂თისა იესოსი, ფრიად ტკბილი, რათა ვჰპოოთ განსვენება სულთა ჩ̂ჳ̂ნთა უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

## სუმბული და მწირი.

(თ. ნიკ. ბარათაშვილის ლექსებითგან:)

### მ წ ი რ ი.

სუმბულო, სად არს ფეროვნება შენი საამო,
რომ შენსა მჭჳრეტელს არ დააჩნდა დილა, სადამო?
მარქჳ, სადა არს სუნი შენი, სამო და ნელი,
რომლით ათრობდა სიცოცხლის ჟამს ღამაზი ველი?

### ს უ მ ბ უ ლ ი.

მწირო, ხომ ხედავ მოკლებივარ ჩემს სამშობლოს გულს.
ჩემთ სწორთა ყვავილთ. მშჳენიერს ცას და ჩემსა ბულ-
ბულს?

აგერ მაისი აყვავებს ტურფად ბუნებას;
მოვა ბულბული და დ'უსტვენს სიყვარულის ხმას,
ხოლო მე ხმელი ბნელსა სადგურს და სევდიანსა,
ვერღა ვიხილავ ჩემსა ტურფას და ჩემს მგოსანსა.

მწირი.

ნუ თუ ვერ ჰშოვებ აქ სანაცვლოს, ვერც რას საამურს,
სადაც ოქროთი და ვერცხლითა გიმკობენ სადგურს,
სადაცა კაცი შენს შვენებას, ესრედ ინახავს,
რომ მზე ვერ გაჭკნობს, ვერც სიცივე ყვავილს დაგაზრავს?

სუმბული.

მაგრამ მარქვ რა არს ჩემთჳს სახლი დიდ მშჳენიერი?
ვით გაალიმებს ჩემს მშჳენებას ხმელი ჰაერი?
არღა მევლება გარე წყარო, ცივი, კამკამი;
არღა მეცემის დილით გულსა სიცოცხლის ნამი,
გრილი ნიავი ჩემთა ფურცელთ არ უალერსებს,
და მაყჳლის ბუტკი მზისა სხივთა არღა უჩრდილებს.

მწირი.

სუმბულო ტურფავ, მოიგონე მკაცრი ზამთარი,
მისგან შენ ახლა იქნებოდი უწყალოდ მკჳდარი.
ნახე, რა ძალუძს შენთჳს მზრუნველს კაცისა ჴელსა,
რომ მისი სუსხი ვერ შეგირყევს ვერც თუ ფურცელსა.

სუმბული.

ჰე მწირო, სოფლად ყოველსა აქჳს ჟამი და ბოლო;
მაგრამ ამას ვჰსწუხ, რომ უჟამოდ მელების ბოლო.
ზამთრით ბუნება არა ჰკჳდება,—სევდით იმოსვის,
რო თავის სატრფოს გაზაფხულსა განეშორების,—
და მყის ვითარის მშჳენებითა კჳლავ შეიფურცვლის,
ოდეს მერცხალნი ახარებენ მოსვლას საყჳარლის!!!

აჴ, როდის ვნახო მეცა გულად ჩემი ბულბული,
რომ განჳიშალო კჳლავ სიტურფით მისი სუმბული.

მწირი.

მშჳდობით, წავალ მეც მოვმებნი ჩემსა ყვავილსა.
ისიც შერისავით განაშორეს საშობლოს ველსა!
ვაჲ თუ მასცა უდროოდ აჭკნობს უწყალოდ ქარი,
და აღარა მომხჳდეს სული მისი, ჭირთ უგუმყრელი.

1842 წ.

---

## მთხოვარა—გლახაკი.

... ზოგში ვიყავ დედ-მამა დამეხოცა,
გავიზარდე, ვსთქჳ აწ ღმერთმა დამლოცა,
გავისარჯე—და ერთი-ათათ მომცა;—
მეც შევიქენ ოჯახისა პატრონი...
მოგახსენო, შენ ხარ ჩემი ბატონი:
—დატრიალდა ჩარხი ჩემის ბედისა,
(თუ მეწჳა ცოდვა ჩემის დედისა):
გადამეწჳა მე, ერთს ღამეს, სახლ-კარი,
შიგ დამეწჳა ცოლ-შჳლი, ძროხა, ხარი;
მეც ყვავილმა წამაქცია, დამსერა,
ბატონებმან (1) მიბატონეს ასე რა,

(1) იმერეთს, გურიას და ოდიშს, ყვავილს—ბატონებათ უწოდებენ.

თვალთ სინათლეც გამაცალეს, გამძარცჳჱს;
მეხობლებმა სულ ერთიან გამპარეს.
თუცა დამრჩა მცირე რამე ქონება..
მიკჳრს. შემდეგ როგორ შემრჩა გონება!...
ბოლოს, ერთს დღეს. დრო რომ იყო ბინდისა,
ჴელთ ავიღე ყავარჯენი შინდისა,
შეშის ურმის თვლების ჭრიალს გამოვყევ,
ქალაქს ტფილისს მათხოვარად შემოვყევ.
მას აქეთ მე, აქ, ქუჩებში, დავდოდავ,
მოწყალების თხოვნას მე ძლივსღა ვბოდავ.
დროებათა ქარიშხალთა დამბერეს,
თმაც მითეთრეს, დამაჭკნეს, დამაბერეს.
სიღარიბემ წელში ხუთათ გამღუნა,
ჭირმა, სევდამ, დამცა, დამაძაბუნა.
ჩემზედ გლახა ქჳჱყანაზედ არ დადის,
საპყარივარ. სიკჳდილს ვნატრობ მარადის.
საყდარს დავალ თჳთქმის ყოველ კჳრასა,
სხჳა დროს ვგდივარ ერთის კედლის ძირასა.
უქალმანო, უმარჳლო, თავშიშველი.
ძჳრათ მაძღარ, ხშირად მშიერი, სველი;
მკერდს არ მწჳდება დაგლეჯილი მუნდერი (1)
თავზედ დამდის: წჳმა, თოვლი, ხან მტვერი!

(1) მუნდერი—მოკლე ჩასაცმელი რუსებთაგან, ზიპუნის მსგავსი და ზოგი—ახალუხისავითმოყვანილი: ადრინდელი მუნდრები იყო წელამდის და წინ კალთები არ ჰქონდა.

ხუთის წლის წინ პურს ვსჭამდი ხუმრობითა,
შევაქცევდი გამლელთ მასხარობითა:
ამ ბზარებში აძლევენ მოწყალებას,
გლახაკებსკი არა აქჳსთ შეწყნარება!
რა ხუმრობა ვეღარ შევსძელ ცოდვილმა,
სულ შემიპყრო მე შიმშილისა ძილმა....
—ზოგიერთი მოიგონებს მკჳდრის სულსა,
სულთაობას სადილს მომცემს და ფულსა,
მაგრამ მცირეთ, რომ არც კუჭს ჴხჳდეს, არც გულსა...
—თუ ცხონდება მკჳდარი ერთის ჭამითა,
მაშ აცხონოს ღმერთმა იგი ამითა!
ერთხელ უცხოთ მოკაზმული, მდიდარი,
ყარაბაღის აჯილღაზედა მჯდარი,
მოაქროლებს, ამაყად იყურება,
გრომში ვსთხოვე, უთხარი: «მეჭირვება»:
დამატაკა ცხენი, ჩამომკივილა!...
გლავე მომტყდა,—იმან გაიღიმილა!..
ერთი ვინცღა კარსკჳლავებით და ჯჳრებით
გავსებული მოდიოდა კარეტით,
მოვახსენე: «ხრისტა რადი, (1) ბატონო!»
—«ოსტავ! ბოღ დასტ! ტი პოლუჩიშ პატომო!» (2)
ასე ვგდივარ ვიძახი უპატრონო:
—«ვეტი გლახა შეიბრალე, ბატონო!»

---

(1) ხრისტარადი —ქრისტეს გულისათჳს.

(2) ოსტავ! (დამეთხოვე!); ბოღდასტ—(ღმერთი მოგცემს); ტი პოლუჩიშ პოტომ.—(შენ მიიღებ შემდეგ).

ვინც გაივლის ფეხებს დამიბარტყუნებს,
და იძახის: (ასე ამითვალწუნეს)—
—«დაკა მაგას თავში ჩაუფაჩუნე!..»
—რისთჳსა მცემ აბა ჩემო ძამიავ?
სამი დღეა პური არ მიჭამია!—
მომცემ რასმე!—ვითომც საწყალს სამთლები,
არას მომცემ—ცემას რას მემართლები?!...
ზოგი ერთი, სულ მორთული ხავერდით,
მობძანდება ჯუარს მოაზობს მკერდით,
ამაყობს და იკლანკებს წელშია,
მე პურსა ვსთხოვ ჵს ქ̂ჳს მიდებს კელშია!
უფალმან ჯ̂სთქ̂ჳა: « გაიკითხეთ გლახაკი.»
—ქრისტიანნო! არ გაძკვსთ დიდი ხარჯი,
რომ ხანდისხან მიბოძოთ თითო ფარა:
—შემიბრალეთ, შიმშილმა გამამწარა!!...

თ. რაფიელ ერისთავი.

---

*
* *

აღარა ვხედავ წარსულს დროებას,
სად კელმწიფობდნენ გმირნი მეფენი,
ქართველთ ერთაგან, მათ წინ მხნეობას,
ვინც იყვნეს ლომებრ მტერთა მძლეველნი!

მეფენი იგი, ლაშქრით წარსულნი,
საქართუჱლოჲთ, საბერძნეთ კერძოთ,
იპყრობდნენ წმინდა ადგილთ მისრულნი,
იერუსალიმს და მის მხრის ერდოთ!

თუმცა შემდგომთ წელთ მტერნი გვმძლავრობდნენ,
განვიახლებდენ დღეთა მწარეთა,
მაგრამ მცხოვრებნი მტკიცედ მედგრობდნენ
და დაიცვავდნენ თჳსთა არეთა.

როს განგჳმეფდა ირაკლი ჩუჱნი,
მტერნი ოთხ კერძოთ ქართველთ მომართდნენ;
მხნეობით სრული, მკჳრცხლადა მდევნი
ოსმალთ, სპარსთ, ჭარელთ, რისხუჱას დამართდნენ!

აწ გვესმის ხმები ადგილთ ომების,
დამონავებით ქვეყნების პყრობა,
ვითარცა დროებრ ვახტანგ მგელ ლომის,
თამარ, ირაკლებრ, უშიშარობა.

უტეოთ მათვე ურთიერთ ბრძოლა,

თჳთ რჯულობითნი უცჳან ქუევანი,
რა უმჯობეს არს მიხჳდნენცა ყველა.
და მაშინ იგრძნან თჳსნი ვნებანი.

ჩჳჱნ ვსთქჳათ, მფლობელი ივერიისა,
კეთილმორწმუნე ჴელმწიფე დიდი,
რა მფარველ იქმნა ჩჳჱნის ერისა
მოგვცა ნუგეშად, დროება მშჳდი.
ალექსანდრემან გჳრგჳნოსანმან,
მსწრაფლად დაიპყრო მრთლად დაღესტანი,
მოსვენებულ გვყო ძლევა მოსილმან
ღმერთს ვსთხოვ ჴელთ იპყროს, თჳთ ჭინ-
დისტანი!

კეთილ სჳანმან და მოწყალემან
ძენი, ასულნიც რა განვიგნათლა,
ღჳაწლითა თჳსით უხვებით მწემან
მეფეთ წინაშე თავი იმართლა.

რა უნდა უძღჳნათ ამ საქმის ნაცვლად,
არა რა ძალგჳძს, თჳნიერ გულის,
ზენარს ვევედრნეთ, დღეგრძლად ჰყოს მრა-
ვლად

შეწირვით მისთჳს ჩუჱნისა სულის.

მომსწრენი ამა კეთილ დროების,
ვვმართებს მამულის მზრუნველს ვემონოთ;
ვიყვნეთ მორჩილნი და მისის ნების,
ორგულნი მტერნი მას დაუმონოთ!

ვიტყჳ მე ვითარ შჳლი მამულის,
ერმათა, მოხუცთა, ეს აღვასრულოთ,
ერთგულებითის ურთიერთბმულის,
ქართველთ თჳსება მით დავასრულოთ!

თ. მამუკა ჳ. ორბელიანი.

---

შავი თვალები.

მე მახსოვხართ შავნო თვალნო მას აქეთ,
ოდეს უკვე ემაწჳლობდით... მეც გაქეთ,
ბრწყინვალებდით ვით ვარსკვლავნი ღამისა,
არც ტრფობისთჳს და არცათუ განთქმისა.

მე მახსოვხართ იმა ამაო წელში,
როს იწოდით ვნებისა ცეცხლებითა,
და გთვალვიდით სოფლის ამბოხებაში,
მძლეედ გულისა მიმზიდველ შვენებითა.
აწცა გიმზერ მე მონაწილეობით,
მომწონს ღელვა, იცვალა მეუდროებით.
რადგან კმა-ხარ სრულის მეუღლეობით
მეც ვისურვებ იყო ბედნიერებით!

18 დეკემბერს, 1860 წ. ხ. ხვედურეთი.

---

## მეგობარი.

მკითხველო! გყავს მეგობარი?
მაჩვენე აბა სად არი?
რომ გაჭირების დღეშია--
იყოს შენთან თანამკჳდარი.
განა ჰპოებ მეგობარსა,
რომ იმან შენ ნუგეში გცეს?

როს გხედავდეს ირჩობოდე,
მოსაშჴშლად ჴელი მოგცეს.
    ის უყურებს ყოველს წამსა,
თუ გჭირს რამე დღე კეთილი,
მაშინ არის მეგობარი;
მაშინ არის ძმა და შჳლი.
და თუ ღმერთმა ნუ ინებოს,
ბედისა ჩარხი დაბრუნდა,
უმალ მირბის, მირბის, როგორ!
უკან მოხედვაც არ უნდა.
    სად არს ის დრო, იგი ჟამი,
ანუ იგი მეგობრობა,
როს დამონას ბედის წამი
ფრტიამა ახლად შობა!

დიმ. ბერიევი.

1862 წელს.

## საქართჳელოს მეფის გიორგის მეათცხრამეტის მეფობა.

(განგრძელება.)

კჳალად შევიდა აღამამადხან აბანოსა შინა მეფისასა, სთნდა ფრიად შენებულება მისი, რამეთუ იყო იგი მარმარილოსთა, დათლილთა მიერ ქჳათა ნაშენი. და ეგრეთვე გაუკჳრდა სიკეთე ტფილისისა მის, წყლისა რომელნიცა სდიან ტფილისსა შინა კლდოვანთაგან ტფილისისათა ბუნებითად ტფილნი, ფრიად წმინდანი, ყოვლითურთ აღუმღვრეველნი, და მარგებელნი წყალნი, და რაოდენ გზისმე განიბანა მას შინა. გარნა ეგრეთცა ვერა განერა მძჳნვარებასა მისსა, და უბძანა შემუსვრად აბანო იგი მეფისა: კჳალად შევიდა აღამაჰმადხან საჭურველთა სახლსა შინა მეფისასა, და ეგრეთვე არტილერიისა სახლსა შინა, სადაც იყო ზარბაზანთა ჩამოსასხმელნი მანქანანი, და ყოველნი სახმარნი არტილერიისანი, საჭურჳელნი ყო-

ხელრივე წარიხვნა, და ეგრეთვე ზარბაზანნი ფრიად რჩეულნი, და სწავლულთაგან არტილერიის ხელოვნებისათა შთამომსხმელნი, და ყოველნი იარაღნი ზარბაზნის ჩამოსასხმელთანი შემუსრნა და დასწჳნა, და სახლნიცა იგი სრულიად დააქცივხა, და მოაოხრა. ხოლო არტილერიისა მოსამსახურენი, რომელნიცა იგდო ხელად, წარიყვანნა იგინი თავის თანა და პატივი მიაპყრა მათ, და რომელთამე მათგანთა მოუპოვა ცოლშვილნი მათნი, და ნათესაობანი, და შთაიყვანნა იგინი სატახტოს, და დააწესა იგინი არტილერიასა თჳსსა შინა, მისცნა მათ ჯამაგირნი, და საცხოვრებელნი საკმაოდ. და აღუშენნა მათ სახლნი და დაადგინნა მოხელედ არტილერიისა თჳსისა ქალაქად თჳსდა თეირანად.

მხედრობანი სპარსთანი განვიდიან ღამე ტფილისით ბანაკად თჳსად, და დღე მოიქცეოდიან, მრცხდიან, და აოხრებდიან ტფილისსა: მხედრობათაგან აღამაჭმადხანისათა, აღრიცხნეს მომკჳდარნი ლაშქარნიელთა (ე. იგი მხედრობის მწერალთა და აღმრიცხჳმელთა) ბრძოლასა შინა და ტფილისისა მოსახლეთაგან მოკლულ იქმნეს ათ სამეტათასი კაცნი მებრძოლნი სპარსნი.

ოდეს შემოვიდეს იგინი ტფილისსა შინა, შემდგომად რამდენისამე დღისა, წარგზავნნა აღამაჭმადხანმან მხედრობანი სპარსთანი კერძოთა ქართლისა და არაგჳსათა, მოსტყუევნონ ადგილნი მათნი. წარვიდეს ტფილისით, და მივიდეს მცხეთას: ხოლო მცხეთა არს ტფილისით სამი ეჟი. ე ი სამისა საათისა სავალი გზა; მცხეთა (1) არს

(1) მცხეთის ეკკლესიასა შინა არს დაფლულ გჳართი

უკჳ̂ ძველად ხატახტო და სამეუფო ქალაქი. და მუნ არის კჳ̂ალადვე ეკკლესია სრულიად ივერიისა, და საყდარი საქართველოჲსა პატრიარხთა, და მუნვე არის სასაფლაო მეფეთა. და მეფენი საქართჳ̂ლოჲსა მარადის ჰყოფენ ცხებასა მუნვე; მისრულნი მუნ სპარსნი შევიდეს დიდსა მას შინა, და ყოვლად მშჳ̂ნიერსა ეკკლესიასა. და ენუბათ სპარსთა დაწვად შინაგანისა მისისა, არამედ არა აუფლა იგი ნახჩოვნელმან ქანგარლუ ქალიბალ ხანმან, რომელნიცა ჟამსა მას იყო მხედართმძღჳ̂ანი სპარსთა მათ მუნ მყოფთა, და ჰრქჳ̂ა: მათ. არა ჯერ არს, სადა იგი არს თაყვანის საცემელი ღჳ̂თისა. შეურაც ჰყოფად. და არცა სამარხი მეფათა. და განსდევნნა იგინი გარე: ■ მაშინ უბძანა მხედრობათა მათ, და აღმხედრეს იგინი.

---

უფლისა ჩჳ̂ნისა იესოს ქრისტესი, რომელიცა ჟამსა მირიან სრულიად ივერიის მეფისასა გამოჩნდა: ქრისტესით მეოთხესა შინა ასწლეულსა საუკუნისა დასაბამსა. მცნებითა მას ზედა კჳპაროზისა ხისათა, რომელიცა იქმნა პირველად სვეტად ეკკლესიისა, წმინდისა ქალწულის ნინას მიერ, რომელმანცა მოაქცია სრულიად ივერია: თუმცალა შემდგომად ქრისტეს აღდგომისა და ზეცად ამაღლებისა იქადაგა წმინდამან და ყოვლად ქებულმან მოციქულმან ანდრია, არამედ ქადაგებული მისი სრულჰყო წმინდამან ნინა, ასულმან ზაბულონისამან, მოციქულთა სწორმან, და სვეტი იგი აღმოცენებული კჳ̂არისა ზედა უფლისა აღიმართა, და იქმნნა მრავალნი სასწაულნი, დ იქმს აწცა საკჳრველებათა მრავალთა.

განვლეს მუხნარი და ჭალა, სადაცა არგვივ მცხოვრებთაგანნი იყვნეს, არამედ ყოველნივე დაბანი და სოფელნი გახიზნულ იყვნეს. განვლეს ტირიფონა მინდორი იგი მახლობელ გორისა, და მივიდეს პირისპირ ქალაქისა გორისა: ხოლო მცხოვრებნი ქალაქისა გორისანი ერთბაშად განსულ იყვნეს, და შესრულ სახიზართა ადგილთა. მხოლოდ ციხესა შინა გორისასა, რომელიცა არს მაღალსა მთასა ზედა დაშენებული, სდგეს მას შინა მცველნი ციხისანი: აღვიდეს სპარსნი მაღალთა გორათა ზედა გვერნაკისათა, რომელიცა მდებარე არს პირისპირ ქალაქისა გორისა, განიმსტვრეს მუნით ქალაქი გორი, და უკუნ იქცეს განუმყოვრებელად, მასვე დღესა შინა, და აგრეთვე უკუნმოვლეს გზითა მით, რომლითამცა მიწევნულ იყვნეს მუნ: და რომელნიმე ნაწილნი მხედრობისა მის წარვიდეს სოფლათ და დაბათა შინა ზემოჲსა ქართლისათა, და მიიწივნეს ვიდრე ქალაქად ცხინვალამდე. და ცხინვალის სიახლოვესა მისრულნი კჳალად უკუნ იქცეს, და ვერცა ერთსა ადგილსა ვერა რაჲ ჰპოვეს, და ვერცა თუ კაცი ერთი, გინა პირუტყჳ: და მუნით მოქცეულნი შეერთდესვე მხედრობასა თჳსსა, და შთამოვლეს დაბანი ჭალასა და სამთავისისანი: ხოლო საყდარი ჭალისა მდგომარე, ოდეს ივლტოდეს მცხოვრებნი ჭალისანი მთათა შინა, დაშთა მღჳდელსა ჭალისასა დაუკეტელად, რომელსაცა შინა ესვენა ჯჳარი პატიოსანი ქმნული მეფისაგან ვახტანგ გორგასლანისა (1) დიდისა

(1) ვახტანგ გორგასლან ცხოვრებდა ქრისტეს მოსჳ-

მის და დიდებულისა ივერთა თჳთ მპყრობლისა, და და დიდად სახელოვანისა მეფისა და ეგრეთვე სხჳანი მრავალნი ხატნი და ჯუარნი შემკულნი რომელნიმე მათგანნი ოქროთა, და თვალებითა პატიოსნითა: და საკჳრველი ესე არს, რომელ არცა ერთი რაჲ მათ ნივთთაგან და არცა მცირედი რაჲმე საყდრისა მის, არცა აღელვასა ზედა სპარსთასა, და არცა შთამოვლასა ზედა არა წარწყმედულ არს: ხოლო ოდეს მხედრობამან ამან სპარსთამან განვლეს ჭალა და მუხნარი, და მიიწივნეს მცხეთად, დახჳდეს მათ მუნ სხჳანი მხედრობანი სპარსთანი. რომელნიცა წინაშე გაუგზავნნეს აღამაჴმადხანის საგურამოსა კერძოსა, რათამცა მათ დევნა უყონ მცხოვრებთა ტფილისისათა, და ელებთა მათ ტფილისს ქუემოთ მახლობელთ უაზახისა, და შამშადინისათა, რომელნიცა შესრულ იყვნეს საგურამოს მთათა შინა. რათამცა ზედა დასხმა უყონ მათ, ხოლო მხედრობანი ესე სპარსთანი გაღმით არაგჳს მდინარისა მიწევნულ იყვნეს. ვიდრე ცხინვალისა ხიდამდე, და მუნამდე ვერავინ ეხილვათ მცხოვრებთაგანი: და ოდეს მიახლოვებულ იყვნეს ადგილთა მათ ცხინვალისათა. მუნ მისწერდეს იგინი ალისულთანსა შამშადილისათა, რომელიცა იყო ჩინებული კაცი, და მეფისა ირაკლის მიერ დიდად პატივცემული და მისანდო. და იგიცა დიდად ერთგული მეფისა და მამულისა ჩუენისა,

---

ლითგან მეხუთესა ასწლეულსა საუკუნესა შინა. რომელიცა შერაცხილ არს სრულიად ევროპისაგან ერთად ღირსი ხსოვნისა მეფედ, და ყოვლითურთ სახელოვანად.

ყოვლითა ქლითა, და კელის ქუ̂ეშეთითა თჳსითურთ ყმაი იყვნეს ჩუ̂ენნი მჩუ̂ლადვე: მას ჟამსა შეემოიხვეწა ბედნიერება ალის-სულთანსა, რომელ სამასამდე ხევსურნი, ქრი-ანნი კაცნი, ხევსურეთით მომავალ იყვნეს ტფილისად, როთამცა მივიდეს იგინი, ბრძოლასა ალამამადხნისასა, მეფისა ირაკლის თანა. და ვითარცა იხილეს მათ ალის-სულთანი ადგილსა მას, ჰკითხეს მას ვითარება საქმისა, და აუწყეს ყოველივე და იხილეს ესეცა, რომელ მხედრობანი სპარსთანი მიეახლნეს მას ადგილსა: მაშინ ერთობლივ რქუ̂ეს ალის-სულთანსა. «წამოვედ ჩუ̂ენ თანა ვითარცა მხედართ მძლე̂ანი მეფისა ჩუ̂ენისა, ერთგული, და ჩუ̂ენ ქუ̂ეშე კელისა შენისა ვებრძოდე მტერთა და წარვიქცინეთ იგინი, ხოლო შენ სდევდი მათ მხედრობითა მაგიცხენოსანითა შენითურთ, და დაშთეთ შენ და ყოველი ეშენი უვნებელად:» სთნდა სიტყუ̂ა ესე სულთანსა, და წარუძღვა მხნეთა მათ ხევსურთა, და ჰყუ̂ეს ბრძოლა ფიცხელი სპარსთა მიმართ. სპარსნი უმეტეს იყვნეს უმეტოთხას ასთა, ხოლო ესენი არა უმეტეს ხუთ ასთა. სალეს, უკუ̂ნ აქცივნეს, და იოტნეს სპარსნი და რომელნიმე მათგანნი მოსრნეს. და რომელნიმე შეიპყრნეს და მიუძღუ̂ანეს მეფესა, რომელთაცა ანიჭნა მათ ღირსნ ჯილდონი.

ესე ძლეულნი მხედრობანი სპარსთანი და მხედრობან ქალბალიხანისა კელისა ქუ̂ეშე მყოფნი მიიქცეს ბინადვ ალამამადხანისა: ეშინოდა ფრიად ალამამადხანს ზედა და სხმისაგან მეფისა, ამისთჳს დაშე ყოველ იყო იგი დიდს შინა სიფრთხილესა, და არცა ერთსა დამესა არა დაე

ტევებდა არცა ერთსა მხედრობათა თჳსთაგანსა ტფილი-სსა შინა, არამედ განიყვანებდა ბანაკად.

მეფემან ირაკლიმ მისრულმან მთიულეთს. წარავლინა ყოველთა საბრძანებელსა თჳსსა კაცნი, რათამცა განუმზადნენ ბრძოლად, და სადაცა აღუნიშნავს მათ მეფე შეკრბენ მუნ: კახეთს ჰყუა ძეჲ პირმშოჲ და მემკჳდრეჲ თჳსი გიორგი სახლეულობითა თჳსითა; რომელიცა განამზადებდა მხედრობასა კახთასა, ბძანებითა მეფისათა: ხოლო ქართლს ჰყუა სხუაჲ ძეჲ თჳსი იულონ, და განამზადებდა მხედრობასა ქართლისასა: ელოდეს ყოველნივე, და ყოველთა ადგილთა მხედრობანი ბძანებასა მეფისასა, რათამცა სადაცა უბძანოს მეფემან. შეკრბენ მუნ.

მაშინ წარავლინა მოციქული აღამამადხანის მიმართ ტფილისად თავადთაგან თჳსთა სუფრაჯი ქაიხოსრო გენგიას ავალის შვილი ხოლო მოციქულობისა მის სახე იყო ესრეთ. უკეთუ განაცხადებ თავსა შენსა კელმწიფედ სპარსეთისად და მპყრობელად, რასათჳს წარსტყუენე ქალაქი ჩემი და ტყუედჰყოფ მას შინა მცხოვრებთა რომელთაცა არა რაჲ შეუცოდებიეს შენდა. და უკეთუ გნებავს რათამცა ეჩვენნეს საქმენი რაჲცა შესაბამებია კელმწიფეთა. შემდგომად ბრძოლისა გმართებდა მცხოვრებთა მიმართ ტფილისისათა მიცემად მშჳდობისა, რომელიცა მოსდრეკს ყოველთა ერთა დამზავებად: აწ ისმინენ რჩევანი და განზრახვანი ჩემნი და განათავისუფლე მოქალაქენი ჩემნი რომელნი ტყუედ უქმნიან მხედრობასა შენსა: და მაშინ განვიმზადოთ მშჳდობისათჳს დაზავება ჩუ

ჯერ არს და სამართალი არს აღვასრულოთ ყოველივე ეგრეთ: და უკეთუ არა იწყებ ამას, მაშინ რაოდენ ძალ-იდების ჩუენ მიერ, ვიმეცადინეობთ სარგებლობისათჳს ქრისტიანისა ჩუენისა. ვინაჲდგან ერნი ქრისტიანისა ჩუენისანი ფრიად განრისხებულ არიან ამას ზედა, იხილეს რა თქუენ მიერ ესე ვითარისა სახითა შეურაცხება და უმჭირველობა მხედრობისა თქუენისა, აოხრება და ტყვეყოფა ქალაქისა ჩუენისა და მას შინა მცხოვრებთა. და ვაცნობებთცა მპყრობელთა როსიისათა, რომელნიცა ერთ სარწმუნოებითა და მეზობლობითისა მშჳდობითა ჩუენ თანა შეკრულ არიან, და არა თავს იდებენ იგინი თქუენ მიერ ბოროტის ყოფასა ჩუენ ზედა.»

წარვიდა დესპანი ესე მეფისა კენკია, აუწყა ყოველივე შეთვლილობა მეფისა, და რაჟამს იხილა აღამაჭმადხანმან წიგნი მეფისა, და ჭსცნა ყოველივე ფრიადისა მხიარულებითა აღავსო იგი, და მოიკითხა მეფე პატივისცემითა დიდითა, და შესაბამითა სიყვარულითა, და პატივისცა ფრიად დესპანსა მეფისასა და მოუწყრა მეფესა, და აღუთქუა ყოფად ყოველივე და აღსრულებად თხოვილისა მეფისანი უსაკლულოდ. და ტყვეთა, და ყოველთა ნაჲცა წარეტყუენათ, ანუ აღეხოცებინათ, მიქცევად ყოვლისავე მის, და სხუსაცა მრავლისა კეთილის ყოფისა ქმნად. და ნიჭთა ურიცხვთა შემინებად მეფის მიმართ. და სთხოვა ფრიადისა გულს მოდგინებითა აღამაჭმადხანმან მეფესა რათამცა რაოდენიცა ენებოს მეფესა, თჳსნი მისანდონი გუამნი. და ერთ ძეთაგან, ანუ მის ძეა, წარმოუვლინოს მეფემან დასარწმუნებელად მშჳდობისა, შემდგომს მათ-

ნა დაუყოვნებელად, და მაშინ მოუქცევს ყოველთავე რაჲცა წარუხუამს მხედრობათა მისთა, ვითარცა ზემორე ითქუა: ანიჭნა დესპანსა მეფისასა უხუად, და განუტევა ყოველივე: ყაზახსა მას იმყოფებოდა მეფე, მთიულეთს გაიმაურთ კარსა, და დედოფალი და სახლეულობანი მეფისანი, მხიარულ იქმნა მეფე ამბავსა ამას ზედა და განამზადა ძის ძმა თჳსი მეფის ძე დავით, ვინადგან იყო აღზრდილი მის მიერ, და სწავლული სპოლეტიკოსა საქმესა შინა, გონიერ, მხნე, მარჯუჱ სიტყჳთ, და მკვეთრ, წყნარ, და მშჳენიერ სახითა. და ესე ვითარი იყო სახილველი, რომელ ხატსავე ზედა სახისა მისისასა გამოიხატებოდა გულოვნება მისი; ამისთჳს უყვარდა იგი მეფესა უფროს ძეთაგან თჳსთა, ამათანავე განამზადნა რაოდენნიმე ჩინებულთა მისანდოთა თჳსთაგანნი, თანა წარტანებად მისსა, რათამცა ერთბამად სრულ ეყოთ ზავი, და საქმენი ელჩობისა მათისანი, ბძანებისა მებრ მეფისა, და აღთქმისა აღამაჰმადხანისა.

მაშინ ჰსცნა რა საქმე ესე ზავისა განჯისა მმართებელმან ჯავადხანმან, რომელიცა იყო ბოროტად წინამძღუარი აღამაჰმადხანისა, ვერაგი დიდად, და საქმეთა მრავალთა შინა გამოცდილი. განიზრახა ამან, უკეთუ იქმნას მშჳდობა შემდგომს მეფისა და აღამაჰმადხანისა უეჭუჱლად საქმე ესე წარაწყმედს მას, ვინაჲდგან იგი შინაგან მცემელ საქართველოჲსა, და ორგულ ექმნა მეფესა, და მან აღძრა აღამაჰმადხან, და მოუძღუა ტფილისსა ზედა თჳთ, და შეიყვანაცა პალატსა შინა სამეფოსა მან აღამაჰმადხან, და იგონებდა ამას იმე კელისა

ქუეშე მეფისა მყოფი განუდეგ მას, და ვიქმენ მიზეზ საქმეთა ამათ, და უკეთუ სრულ იქმნეს საქმე ესე მე უცხოელად, ბრალისა ამისთჳს, დავისაჯო დიდად. და უმჯობეს არს ესე ჩემდა, რათამცა აწვე ვყო ღონისძიება დახსნად და მოშლად საქმისა ამის.

მაშინ წარვიდა ჯავადხან მახლობელთა განმზრახთა თანა აღამაჴმადხანისათა, გამოუცხადა მათ რომელ უჩუე-ფად სენა სიმართლით და ზედ მიწყენილებით საქმეჲ ესე. რომელ მეფე ირაკლი ყოვლითურთ აცდუებს აღამაჴმადხანს, ამისთჳს წარმოვლინნა დესპანნი რათამცა დაარწმუნოს მას ჟამადმდე ვიდრემდის სრულებით შემოკრებს მეფე მხედრობასა თჳსსა კახეთით და მთით შეუკრებიეს მას კახეთისა მხედრობანი, რომელნიცა აღემატებიან ყოველთა ერთა საქართველოჲსათა სიმხნითა და გულოვნებითა. და მოჰყავსცა მხედრობანი ჩერქეზთანი. და რომსადმცა წარუვლინებიეს დესპანნი. და მოელისცა შეწევნასა, და ყოვლითურთ მოულოდნებელად და უგრძნობელად ჩუენდა ნებავსთ და განუზრახავსთ ზედა დასხმაჲ მხედრობისა ამის: ამასვე თანა შეთხზნა ტყუილნი წიგნნი მოგონებულნი, რეცა ჰსწერდეს ამას გვამნი იგი. რომელნიცა არიან მახლობელნი მეფისა ირაკლისანი და რეცა რომელნიმე მათგანნი მოყიდულ არიან ჯავად ხანის მიერ.

ესმათ რა სიტყუანი ესე მახლობელთა აღამაჴმადხანისათა ყოვლადვე თჳთოეულად აუწყეს მას ხოლო ესმა რა ესე აღამაჴმადხანს, იგონებდა იგი რასმე ამას ზედა: და არა რწმენა მას, გარნა თანა გან-

მზრახნი მისნი არწმუნებდეს მას, ვინაჲდგან მოყიდულ იყვნეს ჯავადხანის მიერ ადრიდგანვე და აქეთ მიზე-ზიცა ქმე გულსა შინა მათსა, უკეთუ აღამაჰმადხანს და მეფე ჰყოფდეს ურთიერთ არს მშჳდობასა, მაშინ ვერ-ღარა ძალუძვათ მიღებად სარგებლობისა ნატყუენავთაგან ტფილისისათა, და მიესმოდათ მათ იგინი, ამისთჳს გულს მოდგინე იქმნეს უმეტეს მოშლად მშჳდობისა:

მაშინ იხმო აღამაჰმადხანმან, და იდუმალ გამოჰკით-ხნა ყოველნივე იგი თქმულნი მისნი. და წარიკითხა წიგნნი იგი მოგონილი ჯავადხანის მიერ, და ირწმუნა: მაშინ განიზრახა ჯავადხან სხუა გზადად ლონე, და მოა-ხსენა აღამაჰმადხანს რათა, უკეთუ ინებებს მას, წარავ-ლინებს კაცსა თჳსსა მეფისა თანა. რათა სახითა მშჳდო-ბისათა, რათამცა არა შეეცადოს სხჳსა გული თჳსი მას ზედა, და სახითა ამით სცნობს ყოველსა მოქმედებასა მეფისასა თუ რაჲ ნებავს. და რაჲსა განიზრახავს ყო-ფად. აქო აღამაჰმადხანმან განზრახვაჲ მისი და აღუთქვა წყალობანი, და უბძანა ყოვლად ეგრეთ, ვითარცა განიზრა-ხავს მას.

წარმოვიდა სადგურად თჳსად ჯავადხან, და განიზ-რახა მისანდობთა თჳსთა კაცთა თანა, და წარავლინნა მე-ფისა მიერ მთიულეთად ორნი მისანდონი კაცნი თჳსნი და მიუწერა მეფესა ესრეთ: ამე, უწყის მეფობამან თქუენმან, რომელ მონა ვარ მეფობისა შენისა. თუმცა-და შემთხვეულებასა ამას შინა, ძალით და იძულებით წარმომიყვანა მე განჯით აღამამადხანმან, მე არა ორგუ-ლებით მეფობისა შენისათა, და წინააღმდგომობით ქვე-

ფემან ჩუ̂ენმან მხედრობანი კავკასიელთა და და ჩერქეზ-
თანი, და განმზადნა უმეტეს ორმეოცდა ათი ათასთა
ძრიელნი მებრძოლნი, და ეგრეთვე ზარბაზანნი საგმარნი
და მისწერა წიგნი, და წარუვლინა მალე სრბოლითა
პირმშოსა და მემკჳდრესა ძესა თჳსსა გიორგის, რომელ-
განუმზადებიეს მხედრობანი კახთანი, რათამცა დანიშ-
ნულსა დღესა მივიდეს სრულის მხედრობითა მეფესა
თანა, დანიშნულსა ადგილსა: და რუსთაცა აღგჳთქვეს
მოშველებაჲ. მაგრამ არღა აცლის მეფე მოსვლასა მათსა:
არამედ მოისწრაფის ზედა დასხმად თქუ̂ენ ზედა: ეგრე-
თვე მეფემანცა იმერთისამან სოლომონ შეკრიბნა მხედრო-
ბანი თჳსნი და ხვალის დღესა წარმოვალს მეფე ყოვ-
ლითაძლიერებითა თჳსითა, და დანიშნულთა ადგილთა
ყოველნი შეკრბებიან ერთბამად, და ეგრეთ ზედა დასხმა-
სა ჰყოფენ თქუ̂ენდამი: ხ ესმათ რა ანბავნი სპარსთანი
ვითარცა მარადის აღჳდ მწმუნებელითა, ირწმუნეს სიცრუ-
ვენი ესე.

მაშინ შეკრიბნა აღამამადხანმან წარჩინებულნი და მხე-
დართ მძღვანნი თჳსნი, და განიზრახა მათ თანა; ხოლო
იგინი ერთ კერძ შიშითა, და მეორით ნატყუევნავთა ან-
გარებითა, არა გულს მოდგინე იყვნეს ბრძოლისა, არა-
მედ ეტყოდეს აღამამადხანს. «ქალაქი ესე თუმცაღა აღვი-
ღეთ ჩუ̂ენ, გარნა არა სრულიად ერითურთ მისით: თუ-
მცაღა მას შინა გჳპოვენით ჩუ̂ენ რაოდენნიმე მოსახლე-
ნი, და არა მრავალნი, მაგრამ უმრავლესნი და უწარჩინე-
ბულესნი ერნი ქალაქისა ამის ყოველნივე ლტოლვილ
არიან. და დაშთომილნი ესე რომელთაცა ვერ უძლეს გან-

სვლად ქალაქით, ყოველნივე განვძრცვენით, და ტყვედ წარვიყვანეთ კარავთა ჩუენთა; და ქალაქიცა ესე სრულიად ოხერ ვყავთ, დაქცეულითა ამათ ქუჩათა და სახლთა. არა რა გვიპყრიეს ჩუენ, და ყოველნივე კიდის კიდენი საქართველოჲსანი მტერ ჩუენდა არიან, არღარა გვაქვნ ჩუენ პურნი, და მახლობელთა ადგილთა არა იდების სადა მოპოვებად საზრდოჲსა, და არცა ტყჳათა და წამალთა თოფვისათა:

მაშინ განსაჯა სიტყვანი მათნი აღამამადხანმან, და უკუნ აქცივნა მხედრობანი თჳსნი, და მიიქცეს სპარსნი ვითარცა მლტოლვარენი: უბძანა აღამამადხანმან მხედრობასა თჳსსა, რათამცა ჰპოვეს ტფილისსა შინა ტყვენი, ანუ ნატყვევნავნი არღარა მიგელევებისთო იგი უკუნ ქცევად პატრონთა თჳსთა, არამედ ყოველნი მიმინიჭებიესო თქუენთჳს: მადლობდეს ყოველნი თაყვანის ცემით ვიდრე მიწადმდე: ხოლო ჯავადხანმან მრავალნი მჳროვასნი ნივთნი იყიდნა სპარსთაგან (ფრიად იაფისა ფასითა, და უხაროდა განზრახულისა თჳსისა აღსრულებაჲ, და იტყოდა. «სით შევკრეფდით ესოდენთა სიმდიდრეთა, უკეთუ მეფე სპარსთა თანა ჰყოფდა მშჳდობასა.» და სასოებდა ამასა ზედა, რომელ მისცემს მას აღამამადხან საკმაოსა მხედრობასა და საოცარავად სამთავროსა მისისა: და იტყოდა. «საკმაოდ შევკკრიბენ სიმდიდრე, რომელიცა საიმედო არს ჩემდა და შჳლთაცა ჩემთა, დღეთა განწირულებისათა, და ამით მაალმიცს მოზიდვა სხჳსათაცა მეზობელთაგან ჩემთა მხედრობისა: თუ აღამამადხან გეთილად დაუზავდებოდამცა მეფესა, მაშინ აღამ-მადხან

იქმნებოდა უძჳრეს ყოველთა ძჳრის მყოფელ ჩემდა, და ჩემსაცა საკუთართა მამულთა და ნივთთა, ყოველთა მიმიღებდენ მე, დი ამისთჳს მმართებს მე სიხარული ფრიადი კჳალად რაჲცა სამძიმონი ნივთნი იავარ ჰყვეს სპარსთა ყოველნივე მოიყიდა, ვინაჲდგან შორად ვერ ძალედვათ სპარსთა წარღებად: და მოიყვანნა სატჳრთველნი, და მოჰღო ურემნი განჯით ტფილისად. და ქსრეთ წარიღო ყოველივე სახლსა თჳსსა: თუმცაღა უხაროდა მას, მცირედ ჟამისა იგი განმდიდრებაჲ, გარნა შემდგომად უმეტეს მისსა იზღვა.

## ორიოდე სიტყვა «ცისკარზედ» და ახალის ჟურნალის სარგებლობაზედ.

«На холмахъ Грузіи лежитъ ночная мгла.

А. Пушкинъ.

ჩუჱნი «ცისკარი» დაიბადა 1857 წელში.—წარმოიდგინეთ მოხუცებული ცოლქმარი, რომელნიც უშჳლოძიროდ ელოდენ სამარეში ჩასვლას და სიბერის დროსკი ვაჟი მისცათ უფალმა. მოიგონეთ ზღაპრიდგან ეს საბრალო დედმამა, რომ ცხრა მამაცი ვაჟკაცი შვილები შეუქანქლა ქოფაქმა ბებერმა, არ ვიცი ვეშაპი იყო, თუ ეშმაკი. მოიგონეთ მათი სიხარული და ბედნიერება, რომელსაც იმათ ქრისტეს ჯუარის ფეხის ნადგამში ჩამდგარი წყალი დალიეს და ას ფურცელი ყუოლათ; მათი სიხარული და იმედი ჩუჱნს სიხარულთან და იმედთან სიზმარი იყო, მათი სახაფიიფო ჩუჱნს სახაფიიფოსთან. ეჰ! რა შესადარებელია, მაგრამ ჯი მუხანათო წუთის სოფელო!

ავრინდა ქორი, ავრინდა
ქვემო ხევს ჩაინადირა.
ვაი ობლისა დედასა!
მისი წიწილა აწივლდა.

ისევ უსუსური ყრმა იყო ჩჳენი «ცისკარი», როცა მისი თავი მოგკტაცა ულმობელმა სიკჳდილმა, ყრმა იყო ისევ, მაგრამ «სახარე ხბოს სასკორეში შეეტყობაო»—მაშინვე ეტყობოდა მას რქებში, თუ რა ძალი და ღონე მიანიჭა მას უფალმა და რას უნდა მოლოდებოდა მისგან მისი მშობელი და სამშობლო. ასე; მაგრამ ჩჳენ დღესაც არ ვიცით კიდევ სარწმუნოდ· რამ მოგვჰკლო ჩჳენი თვალის წინი: მოერია მას შინაგანი სულიერი ძალა და, ვითარცა ცეცხლი აღძრული დედა მიწასა შინა ძარღვთა კლდისათა გამაპობელი, დაგლიჯა ლუკმა ლუკმად მისი ჩჩვილი და შეუმაგრებელი სხეული? თუ უდროო დროს აიღო მან მშჳლდ-ისარი ხელში და ძლეული ძველის გამოქნილის მტრისაგან ჯჳარცმული იქმნა, როგორც ყოველივე ახალი სწავლის და ახალი ცხოვრების მქადაგებელი, თუ სუსტის აგებულების იყო, რომ ლიტერგიის ძილათ მიკარდა?? მისი ამ გვარის სიკჳდილის თუ ძილის შემდგომ გავიდა რამოდენიმე წელიწადი ღრმა მყუდროებაში როგორც უბნობენ, თუმცა უსუსურობისგამო, როგორც ზევით მოგახსენეთ, ბევრი რამ არც სიცოცხლის დროს გაუღჳძებია. **1857**-ში ჩჳენი «ცისკარი», რომელიც პირველი სიცოცხლის დროებში ხან წითელს კაბას იცვამდა და ხან ლურჯს და, რომელიც საფლავში ჩასვლის

დროს დაფარა მწვანე ხავერდმა, 1857-ში ვუბნობ, ისევ გაცოცხლდა და გამოქანდაკებული, უთუოდ გორისელის ბძანებით, გამობძანდა ყვითლით შემოსილი ჩუენს სალაყბო მოედანზედ. სხუა ცვლილება არაფერი შეგვიმჩნევია მაშინ მისთჳს და თჳთქმის ვერც ახლა ვხედავთ.

ჩუენ გვეგონა რომ «ცისკარი» ოთხს წელიწადს საფლავში ყოფის დროს გაიარდა სრულიად ჰაერის-მცველობას, გაიწმინდებოდა ძველის ცოდვებისაგან და შემდეგ დაჯერდებოდა სააღსარებოდ მხოლოდ ერთს მღჳდელს, რომელიც დანიშნული იყო მის მოძღვრად და ჩუენკი მოგვითხრობდა ზეციურს სწავლას; მაგრამ ჩუენდა სამწუხაროდ, ამ ქვეყანაში მყოფი «ცისკარი» ახლაც გაუდგება ხოლმე მაღლა ცისაკენ და გაირბენს ყველა ჰაერის მცველების თვალის წინ, ისე რომ ცამდის კაცის კუდის ოდენაც არ დარჩება ამ გზა დალოცვილს გაუვლელი, როგორც იტყჳან ჩუენი გამდლები და ძიძები კუდიანებზედ, და თუ იმათ მახჳლებს გადურჩა, მაშინ შეუძლია ეჩვენოს კაცის თვალს. ჩუენ გვგონია რომ მოვა ის მშუენიერი, ვარდივით ფურჩქვნილი და სუნოვანი იმდენად, რამდენათაც შეუძლია ჩუენს ბუნებას განაღჳძოს მაში სიცოცხლე, მაგრამ რა ვნახავთ, რომ აგრე ცხოველის მაგიერ მოვა ფერ მიხდილი, შიშისაგან გაყჳთლებული და... გადავშლით, გადმოვშლით და მივაგდებთ სადმე მივარდნილს კუთხეში. «თუ კაცი ვერ სარგებლობს თაგვებმა მაინც ისარგებლოს»—ამ სიტყვებს წამოგვათქმევინებს «ცისკრის» მდგომარეობა. მაგრამ საქმე ადჳლად აიხსნება; ამბობენ რომ ქართველები ზრ-

დიდი და თავადაბალი კაცები ვართო; თუ ვინმემ გვიბ-ძანა ერთი ან ორი ვერსი გაიარეო, ჩუენ ა ის გავთჩან-ჩალებთ. ასე და ამ ჩუენულების აღმასრულებელი ჩუენი «ცისკარიც» ერთი მღუდლის მაგიერად ეუბნება აღსრე-ბას ათს. უთუოდ ზედა-ზედა ჰაერის მცვლები სიმინდის მარცვლებზედ აჩოქებენ და ისე აიძულებენ სამსახურს, თუ არა რათ მოლოდავს ჩუენკენ აგრე გამხდარი? რა-საც ჰაერის მცველებზედ და სამსახურზედ ვლაპარაკობ, იქნება ჩემს ფანტაზიას მოეგონებიოს უსაფუძვლოდ. ამ შემთხვევაში ვთხოვ მოტევებას. პოეტებს თუ აქუთ ნე-ბა წარმოთქვან ფანტაზიები, თქუენს უმორჩილესს მოსა-მსახურესაც ჰქონდეს ერთის წუთის განცხრომა ჰაერში ფრენით.

პირველი ნუმერი **1857** წლის «ცისკრისა,» როგორც მოგახსენეთ, გამოვიდა ყჳთლის აშიით განშვენებული და ყჳთელი ფურცლის იქით იყო ლექსი უფ. რედაკტო-რისა «ავრორა».

ავრორამ განხვნა სიბნელის კარი,
რომლით გამოხვდა გვალად ცისკარი;
და ბაძავს იგი რა გავსილს მივარეს,
ჯერ სხივთ სუსტად ფენს ჩუენს არემარეს.

ჩუენ არ მიგვიქცევია მაშინ ყურადღება რა ჰაზრი იყო ამ ტაეპში, ან იყო თუ არა რამე ჰაზრი, რადგანაც გვქონდა უმაწჳლური ალტაცებული ქართული ენის სიყ-ვარულით გონება და ამისთჳს საკმაო იყო ჩუენთჳს,

რომ ქართულს ენაზედ იყო რამე დაბეჭდილი; მეორე და უპირველესი მიზეზი იყო ჩუ̂ენი დამღუპავი რიტორიკა, რომელსაც არ მოუცია ჩუ̂ენთჳს და ვერც მოგვცემდა ვერაფერს ღონისძიებას, სხუ̂ა ღონისძიძბაკი არაფერი მოუციათ ჩუ̂ენს მასწავლებლებს, ღონისძიება, რომელიც მათზედ იყო დამოკიდებული. თავის დროზედ მოვილაპარაკებ მკითხველებთან, თუ როგორ გადის გიმნაზიელების ემაწჳლობა, თუ ეხლაც ემაწჳლურ ჭაზრებით არ შეეზიზღების გადაავლონ ჩემს სტატიას გონების და გულის თვალი.—პირველი ორი სტრიქონის სრული მნიშვნელობა არც ახლა ვიცით. ნიშნავს ის სიბნელის კარი საფლავის კარებს, რომელშიაც მწვანედ შესუდრული ჩამარხეს ჩუ̂ენი «ცისკარი», თუ იმ დროებას, რომელიც თითქო მოაკლდა სინათლეს «ცისკარი» ცოცხალ მკუ̂დრობაში? უკანასკნელი ორი სტრიქონის მნიშვნელობასკი ნუღარა მკითხავთ! ნუ თუ მართლა მთვარე მაშინ ჰფენს სუსტად სხივებს, როცა გავსილია? ნუ თუ «ცისკარი» გადა როდისმე, ან ეხლა გავს გავსილს მთვარეს? როცა ცხოველი ბადრი მთვარე ანათებს ჩუ̂ენს ქუ̂ეყანას, კაცს თვალი გახილული აქუ̂ს, თუ შეიძლება ვთქუ̂ათ; იმ გზას უჩუ̂ენებს კაცს. მართალია «ცისკრის» პირველი ნუმერი და მრავალი ნაწილი შემდგომის ნუმრებისა, თუმცა, თუ ხშირად გატენილი იყვნენ დახიშნულის თაბახებით ხუთით თუ რვით, მაგრამ ახლა **1862** წელიწადის და აქამდისაც არავისთჳს გაუხათებია გზაზედ; მეტადრე პირუ̂ელი ვერავის გაუნათებდა; გზა თჳთონ არა ჰქონია სხუ̂ას ვის უჩუ̂ენებდა? სხივებს თჳთონ

მოკლებული სხჳას ვის მოჰფენდა? სხივები, რომელნიც გამოჩნდენ მის გამოცოცხლების წელიწადშივე მოლაყბის თხზულებაებში, მიჰფარა ჩჳენგან ტევრივით ცაზედ გასხმულმა ღრუბელმა. რომ არ მიფარულ იყო «ცისკრის» სხივები, იქნება მაშინ ცოტა სიცოცხლე ჰქონოდა, მაგრამ ახლაკი სრულიად არა აქჳს ეს სასურველი სინათლე, არამცთუ გავსილს მთვარეს გავდეს, არა თუ ახლა, ცხრაჯერ ცხრა წელიწადიც რომ იცხოვროს ამ მიმართულებით და იდეებით თან და თან უარესი გახდება— რაც უფრო დაბერდება, უფრო დაბნელდება, მაშასადამე პოეტის ლექსი უნდა გადავაკეთოთ ამ გვარად:

აჳრორამ განხვნა სიბნელის კარი,
რომლით გამოხდა კჳალად ცისკარი;
და ბაძავს იგი რა მცხრალსა მთვარეს,
შავსა ნისლსა ჰფენს ჩჳენს არემარეს.

ზევით მოვასხსენეთ რომ მოლაყბის და სხჳა მწერლების თხზულებაები იყვნენ კარგნი მეთქი. უკანასკნელის თხზულებაებისაგან უნდა დავასახელოთ: უფ. ჭონქაძის «სურამის ციხე», დიმ. ყიფიანის «ზჯმა» ხუმბრობა გოდეეილი» გარდანქეშელისა, «ხანიზდექი» უფ. ბერიძისა; დიმ. ბაქრაძის ისტორიკული სტატიები; «სოლომან ისაკიჩ მეჯღანუაშჳლი» ლავ. არდაზიანისა; ნაკმაზი, ილ. ჭავჭავაძის სტატიები და მისი ლექსები; აგრეთვე ლექსები ზოგიერთის პოეტებისა, ჩჳენის ლერმონტოვის ნ. ბარათაშჳლისა და გრ. ორბელიანიდგან დაწყებული

რაფ. ერისთავამდის, რომელმაც დაგვიწერა «მთხოვნელა მსაჯულისადმი» (*). ამათთან არ შემიძლია არ მოვახსენო დიდის პატივის ცემით და მადლობით გაბრიელ ეპისკოპოზის «სიტყვებს».—თუმცა ყველა ესენი ბრწყინავდენ ჩუ̂ჱნ ჟურნალში; მაგრამ მათ სხივებს რაღა სიცხოველე აქმნებოდა იმ სტატიებთან, როგორიც იყო უფ. სულხანოვისა «ევროპიელების განათლებაზედ» და «ურ. მათა აღზრდაზედ».—

უმორჩილესად ვთხოვ უფ. სულხანოვს არ ეწყინოს ჩემგან აგრე მოხსენება. მათი სტატიების უკეთესი ბევრი არ ყოფილან «ცისკარში», მაგრამ ეს მაგალითი წარმომიდგენია როგორც უახლესი და დასამტკიცებელად. რომ პირუ̂ჱლს ნუმერში უფრო სიბნელე იქნებოდა, თუ ამ ახლო ხანამდისაც არ გამოლეულა. გასამართლებლად რომ წინეთაც ლაპარაკობდენ უებროდ, მოვიყვან სტატიას «მკითხველთადმი» დაბეჭდილს **1857**-ის «ცისკრის» მეოთხე თუ მეხუთე ნუმერში. იმედი მაქუ̂ს, რომ მისი დამწერი ახლა აღარ არის თანახმა თავის აზრებისა, რომელნიც წამოთქუ̂ა **1857**-ში წინააღმდეგ უფ. ბერძენოვისა, რომელმაც, როგორც ჩუ̂ჱნი ლიტერატურის წარმატების მოსურნეს, დასწერა კრიტიკული სტატია «ცისკარის» შესახებ. უფ. ალექ. სავანელს ესმის კრიტიკა, როგორც ესმოდათ წარსულს საუკუნეში და არ აპირებს იმ აზრზედ გადადგომას. ამტკიცებს რომ კრი-

(*) გთხოვ უფ. რედაკტორო «მთხოვნელა მსაჯულისადმი» ვისთჳსაც მიმიწერია, მას დარჩეს ამ სტატიაში.

ტიკა წინა უნდა უდგენდეს თხზულების პლანს როგორც სწავლას, აგრეთვე ხელოსანსაო, ანუ კრიტიკას უნდა ჰქონდეს დადებული კანონები, რომელთაც არ უნდა გადახდეს არც სწავლა და ჴელოვნებაო. ამით უფ. სავანელი ცრუ-კლასსიკური ლიტერატორის დროების განახლებას გვიპირებს. მერე ამბობს: რადგან «ცისკარი» ახალი დაბადებული არის, ამისთჳს არავითარი ნაკლულევანება არ უნდა დაუწუნოს მას კაცმა და ვინც დაუწუნებს, მას ჟურნალის გაზდა არა სურსო. ჩუჱნ დარწმუნებით ვიტყჳთ, რომ ამ გვარს «ცისკრის» მუმუ მწოვართან შედარებას, ამ გვარს ლოღიკურს აზრს ვერ წარმოთქმიდა ახლანდელს დროში ვერც უფ. სულხანოვი, ვერც მისი ამალა, რადგან იციან, რომ «ცისკრისათჳს» მუმუ მწოვრებს არ მოუკიდნიათ ჴელი. ეს შედარება საწყენი იქნებოდა უფ. რედაკტორისათჳს. ჩუჱნ ეხლაც ისე ყმაწჳლად ვიცნობთ «ცისკარს», როგორც ექჳსი წლით წინეთ. ექჳსმა წელიწადმა ჩაირბინა მას აქეთ, რაც «ცისკრის» გამოცემა დაიწყეს, მაგრამ გაზრდით კი არ გაზდილა არც ფიზიკურად, არც ზნეობითად; თუ ხანდისხან დანიშნულს თაბახებს გადასცილდა, ამისთჳს უნდა მადლობდეს ლავ. არდაზიანს, დიმ. ყიფიანსა და სხ. თორემ ისე სქელი იქნებოდა, როგორც **1859**-ის ზაფხულის ნუმრები, და სხუჱბიც (ორ ნახევარ თაბახამდის).—მაშა სადამე თუ მას აქით არავითარი ცვლილება მომხდარა «ცისკარში» და თუ ვეთანხმეთ «მკითხველთადმის» დამწერს, ჩუჱნ არც ახლა შეგვეძლება ვთქჳათ მაზედ რამე.—მაგრამ ჩუჱნ არ ვეთანხმებით უფ. სავა-

ნელს და კანონობით: თუ ყმაწვილი არ გაწვრთნეს და არ გაუსწორეს ყმაწვილური აზრები იმ აზრებითვე დაბერდება, როგორც გვჩუჱნებს «ცისკარი» — ჩუჱნ ვერ მოვთხოვთ რომ «ცისკარმა» უძღოდი გაუწიოს ევროპიელ ჟურნალებს, რასაკჳრველია, რომ მას არ შეუძლია ჭეშმარიტის და ღრმა-ღრმა პოლიტიკურის, ან სოციალურის აზრების გავრცელება; ვინ დაემდურება რომ მან ვერ დაბეჭდოს ფილოლოგიურად დამუშავებული სტატიები ქართულს ენაზედ, რა მივკიბარებია და რას მოვთხოვთ? მაგრამ რაც მის კელში იყო და რაც შეუძლია აასრულოს, ამაზედ ნება გვაქჳს ვაუჳწდროთ.

პირველად ვამტყუნებთ რედაქციას დაუდევნელობისათჳს, ჩუჱნ არ შეგვიძლია სხჳთ რითმე ავხსნათ ის, თუ რა რიგად გამოჩდენ «ცისკარში» ზადაჩები, ესტეტიკურნი საბუთნი (და არა სტატისტიკურნი), მთვარეშიდ (და არა მთვარეზედ) მთები და უჭაერობა, რომელიც. როგორც «ცისკარი» გვიამბობს, გვაჩუჱნა ფოტოგრაფიამ და მრავალი სხჳა, რომელთაც თითქმის მოკლებული იყო ყველა «ცისკრის» ნუმრები **1857**-დამ **1862**-დის? დაუდევნელობაშივე დაბეჭდა «თევზების ჭაერიდამ ცჳვნა ერთის მაგიერ ორჯელ და ამასთანავე არ განმარტა რა იყო მისი მიზეზი. თუ რედაქცია ამაზედ არ დაგვეთანხმება, ჩუჱნ უნდა მოვახსენოთ, რომ მას არა ჭსცოდნია რომ თუ კაცმა მხოლოდ ფაკტიკურად იცის ბუნებითი და საზოგადოებითი წარმოებაები და მათის მნიშჳნელობისა და მიზეზების კი არა გაეგებარა, მას აზრი ეკვრება და ურლუგდება და არ ეხსნება.

ამას გარდა კაცის აზრს როგორ გახსნიან ის ცუდი სტატიები, რომლითაც «ცისკარი» თითქმის ყოველთჳს სავსე იყო? რას უნდა მოლოდებოდა კაცი იმ ნაირის მწერლებისაგან, რომელთაც საწერი მასალა (*) არა ჰქო-ნიათ და არც ის ცოდნია, რაზედ უნდა ეწერათ? აგზა-ვნიდენ სტატიებს მხოლოდ მისთჳს, რომ გამოეცხადე-ბიათ საქჳეყნოდ თავიათი საკლები, ან იყო ბარათების მიწერ მოწერა, რომლისათჳს არათუ ორშაურს აძლევ-დენ რედაქციას, ადგილსაცართმევდენ მას ჟურნალში, ან არა და იყო ერთმანეთის გაარისტოტელება, გაფრაკი დი-დება, გაცისერონება და სხჳა და სხჳა. ამ გვარნი უფ. აგზავნიდნენ რედაქციაში სტატიებს და ამით თითქო სცდიდნენ ბედს დაბეჭდვას ჟურნალში თავის ფურცლებ-ზედ ჩჳენს სტატიებსა თუ არაო. ეს სტატიები უთუ-ოთ დაიბეჭდებოდა. მიზეზად რედაქციას არ შეუძლია მოიყვანოს ამის მეტი; სხჳა სტატიები არა ჰქონდა და აბა რა უნდა ექნაო. ამ შემთხვევაში სჯობდა რომ ჟურ-ნალი ისევ თხელი ყოფილიყო და კარგი, ვინემ სქელი და ცუდი. ცხადად სჩანს, რომ რედაქცია არ უნდა ყო-ფილიყო ამ გვარი მწერლების იმედად; ცხადია რომ კარგის და სქელის ჟურნალისათჳს მას უნდა ყოლებოდა რამდენიმე კაცი, რომელნიც ყოფილიყვნენ მუდამი ჟურ-ნალის თანამშრომლები და ამასთანავე რასაკჳრველია შე-

---

(*) უმორჩილესად ვთხოვ უფ. ბარათაშჳლს, საწერი მასალა ისე თავისუფლად არ განმარტოს, როგორც პოეტების ლექსებს განმარტებს.—

ძლებოდათ აუსრულებიათ სასარგებლო მწერლობის ვალი, ახლა მწერლობს ყველა, ვისაც სურს ავი და კარგი, მაშინ სწერდენ მხოლოდ შემძლებლები და ჟურნალიც არ იქნებოდა ცუდი.

სურდა «ცისკრის» რედაქციას მიეცა თავის ჟურნალისათჳს კარგი მიმართულება და ერთი, თუ არა ეს ჩუენ არ ვიცით. მხოლოდ ვხედავთ, რომ მას არ აუსრულებია თავისი დანიშნულება, ყველამ ვიცით, რომ ჟურნალს უნდა ჰქონდეს ერთი მიმართულება: ან კარგი, ან ცუდი. რასაკჳრველია ამ ორს განკიდურებას შუა არის ხარისხებია.—ჟურნალი არაოდეს არ ბეჭდავს თავის ფურცლებზედ მოპირდაპირე სტატიებს (საკუთარის სტატიების კრიტიკას) და ისეთს, რომელიც არ ეთანხმება მისს მიმართულებას. «ცისკარს» არა ჰქონია ერთი მიმართულება და არც კარგი ყოფილა ყოველი მისგან გავრცელებული აზრები ცოტას მეტი, რომელიც თითქმის არ სჩანდა, როგორც ბევრჯერ ვსთქჳ, სხუა სიცუდესთან. მაშიდ იბეჭდებოდა ერთი მეორის მოპირდაპირე სტატიები და იმისთანაებიც, რომელნიც დიამეტრულად წინააღმდეგი იყვნენ სალაყბოს ფურცლის მიმართულებისა და ზევით არიცხულის სტატიებისა. ზოგს ჰქონდა სახეში ერთობა, ზოგს ერთმანეთის მტერობა; ერთი დევნიდა გამდლების და ძიძების ნალაპარაკევს, სისულელეს, მეორე ამტკიცებდა; ესენი ერთმანერთს თავს ახლიდენ სალაყბო მოედანზედ. იგინი ერთმანერთს აქებდენ; ხან შეგვპირდებოდენ ამაზედ და ამაზედ მოვილაპარაკებთო შემდგომში და გვატყუებდენ, როგორც მაგალ. უფ.

მოლაყბე, რომელიც ხან იმალებოდა და ხან გამოდიო-
და სანავარდოდ, უთუოდ უფ. მოლაყბეს ქორი და შა-
ვარდენი გადაჰკიდებია. ზოგი გვესალმებოდა ჩემგან ნუ-
ღარას მოელითო, პირველად და უკანასკნელად მხვდავთო.
ჩუჱნ რასაკჳრველია გზას ულოცავდით, მაგრამ კიდევ
და კიდევ გამოდიოდა სალაპარაკოდ. ხან მართალს უბ-
ნობდენ, ხან ტყუილს. რედაქციას მართალია არ უნდა
ებეჭდა სტატიები თავის ჟურნალში ასე აურჩეველად,
მაგრამ იტყჳან, რა ექნაო? თითქმის ნახევარ მკითხველ-
თაგან და მასთანავე მწერლებთაგან არ იყვნენ და არ
არიან თანახმა არც ნაკმაზის და სალაყბო ფურცლის,
არც ზჳმის და ქართლის ბედის; სურამის ციხეს და გა-
ბრიელ ეპისკოპოზის სიტყუჱბს ხომ ყურში არ შეუ-
შვებენ. მაშასადამე როცა რედაქცია დაბეჭდავდა მხო-
ლოდ ამ გვარ სტატიებს, უკმაყოფილო კრება ჩამოეც-
ლებოდა და დარჩებოდა კელცარიელი. მაგრამ მაინც
რედაქცია უნდა გამტყუნდეს, ან არა და საფუძველი,
რომელზედაც დაემყარა ჩუჱნი ჟურნალი, რადგანაც ჭეშ-
მარიტებამ არ უნდა დაუთმოს ადგილი არც საზოგადო
აზრს, რამდენათაც შესაძლოა, და არც თჳთოეულის
ჩუჱნთაგანის საკუთარს ინტერესს.—

იქნება რედაქციამ თავის გასამართლებლად მოიყვა-
ნოს მეორე მიზეზი: ქართულ ენაზედ ამ ერთი ჟურნა-
ლის მეტი არ ყოფილაო, ყველას ამაში უნდა გამოეც-
ხადებია თავის აზრიო. ეს არ არის მიზეზი:—ეს შეიძლება
ითქჳას მხოლოდ მოპირდაპირე სტატიებზედ და არა
სხუჱბზედ. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც არ უნდა ყოფილიყო

არეული «ცისკრის სტატიები.—მოპირდაპირე სტატიებისთვის მას უნდა დაენიშნა ცალკე ალაგი დამატებასავით და დანაშთენს ჟურნალს შეეძლო ჰქონოდა მიმართულება ერთი და საკუთარი. ასე, რომ მკითხველებს ადვილად გაერჩიათ რას გვქადაგებდა რედაქცია, ან ვინ არ ეთანხმებოდა მას საფუძვლიანად, თუ უსაფუძვლოდ და რაში; თორემ ახლა სრულიად არ ვიცით რედაქცია მეოთხე საუკუნეში განისვენებს, თუ მეცხრამეტეში მოქმედებს? აზრი რედაკტორისა უნდა ყოფილიყო სასარგებლო გავრცელება მკითხველ საზოგადოებაში. ვგონებ ამისთვის სდებდა ის თავის შრომას. მაგრამ როცა ჟურნალი აგრე იქნებოდა გაყოფილი, მაშინ ის იქნებოდა ორი ჟურნალის მაგიერი. ერთს ნაწილში გამოჩნდებოდა თვითონ რედაკტორი. ასე ეჩვენებოდა მას უშესაბამო კრიტიკით. (რასაკვირველია ამ უკანასკნელს სიტყვებს ვუბნობ როგორც რედაკტორი- ასე ეჩვენებოდა მას უშესაბამო კრიტიკა არისო, რადგან ჩემს აზრებს არ ეთანხმებაო.) მივიღოთ რომ პირველი განყოფილება ჟურნალის კარგია, აზრები, რომელთაც ის ავრცელებს სასარგებლოა, მაშინ მეორე ნაწილი, რომელიცა ამაებს არღვევს რასაკვირველია მავნებელი იქნება, თუ ვთქვთ რომ პირველი ცუდია და უკანასკნელი კარგი, მაშინ უკანასკნელს პირველის სიცუდე დაღუპავს, რადგანაც უმთავრესი ნაწილი მკითხველებთაგან დამძლებულ აზრებს უფრო ეთანხმება ყოველთვის. ვინემ ახალს. აქედამ ეს გამოდის, რომ ორივე შემთხვევაში სასარგებლო არ არის ამ ნაირის ჟურნალის მოპირდაპირება.

ამისთჳს კარგია რომ ორი ჟურნალი იყოს ქართულს ენაზედ. მეორე ჟურნალის ყოფნა განათავისუფლებდა «ცისკარს» მოპირდაპირე სტატიებისაგან, რომელთაც ვნება აგრე ადვილათ საგრძნობია, რედაქციასაც აღარ შეეძლო ეთქო, ჩემი ჟურნალი სალაყბო მოედანიაო, სადაც ყველას შეუძლია ყაყანი, ავსაც და კარგსაც, რაც მოადგება ენაზედ მართალი ან ტყუილიო, გამოჩნდებოდენ «ცისკრის» და ახალ ჟურნალის რედაქციები თავის მიმართულებით, რადგანაც მათ ცალკე-ცალკე გზა ექნებოდა მომიჯნული. ჟურნალები დაადგებოდნენ თავიანთს გზას, მიეშურებოდენ მიზანისაკენ. შეუდგებოდა ხანდისხან მხოლოდ ერთმანერთის შეცთომების გასწორებას კრიტიკით, შეცთომების, რომელნიც აუცილებელნი არიან, ეს გამოგვჳხსნიდა უკრიტიკო ორაზროვნებისაგან, რომელიც სუფევს დღეის ერთა ჟურნალში. ერთი უბნობს ორჯერ ორი ოთხიაო, მეორე იქვე ამტკიცებს ხუთობას, როდესაც მას არა აქუს სახეში ოთხობის დარღვევა. ერთის მხრით უკრიტიკოდ დამტკიცებითად გამოდის ოთხი, მეორეს მხრით ხუთი. იქნება სთქუას ვინმემ (ვინ იტყჳს, თუ არა უფ. იმერელი გორისელი ექვთიმე ქ. ი. ზემოური?) რომ ორი ჭიქა დამიდგამს: ერთი წითელის ღჳნით, მეორე ზანგით, ვისაც რომელი სურდეს ის მიირთვასო, მაგრამ თუ ბრმა ვარ, მაშინ ან უნდა მითხრას ეს ღჳნოა ძალის მომცემი და ეს ზანგი დამაძინებელი' ან და თვალი უნდა მქონდეს ახილული, რომ მე თჳთონ ავირჩიო. ჩუ̂ენ ვნახეთ რა ვნებას ექმნებოდა ამ ნაირს კრიტიკას პირველს შემთხვევაში, რადგანაც ზანგს უფრო

შეჩვეული ვართ, მეორედ უნდა ვსთქვათ. რომ საცა ჯერ ერთი ჟურნალია და ისიც უარგისია, იქ ყველა მძინარე ბრმებსა გვანან უთუოდ; იმათ ჯერ ცოტა ღვინო უნდა ჩალიონ (*), რომ მან გამოაღვიძოს და მისცეს მათ ძალა და მხედველობა საფლობის გასარჩევად. ჟურნალების რიცხვს მომატებას იმ სიკეთებთან, რომელნიც ზევით მოვიხსენე, შეუძლია მოგვიმატოს მკითხველების რიცხვი, რომელიც დამოკიდებულია ერთიან მეორე ჟურნალის მოწონებაზედ და ცნობის მოყვარების აღძვრაზედ და ამ მკითხველ საზოგადოების სიდიდეს მოსდევს საზოგადო განათლების მომატებაცა.

ცხადად სჩანს. რომ ამ მეორე ჟურნალის «საქართველოს მოამბის» ფეხზედ დაყენებას უნდა ვცდილობდეთ, მაგრამ ჩვენ არათუ ვცდილობთ მეორე ჟურნალის კეთილდღეობას (ვგონებ საფლავშიაც ჩავდოთ დაბადებამდისვე, თუ ჩვენნებურობა ვიხმარეთ. ჩვენნებურება რა არისო მკითხავს ვინმე? ჩვენნებურობა ის არის, რომ ერთმანერთის თავს ვატეხთ, ათას ნაირად დავყოფილვართ, ჯგუფ ჯგუფად ვართ აქა იქ გამდგარი, თითქო ერთმანერთის დაუძინებელი მტრები. ერთს მხარეს გამდგარა მამა, მეორეს შვილი, აქით ეს, იქით ის, სწორედ ისე, როგორც უბნობს უფ. მებუკე და მოლაყბე. მებუკე კოჭს ჰკითხავს ჩვენს გზას და ბოლოს, მაგრამ კარგად ვერ ტყობილობს, მართლადაც რომ ძნელი შესატყობია ჩვენი შემდგომი, ამი-

(*) კიდევ ვთხოვ უფ. ბარათაშვილს თავისებურად არ ახსნას ღვინის ყლაპვა.

ჩითანა უთანხმოების წყალობით, რა დაგვმართია? ის ძაღლები ხომ არა ვართ ძვლებისათჳს რომ ერთმანერთს ყურებს აჭამენ და მჳლებზედკი ხორცი არა აკრავს? თვალი გამოვახილოთ! რათ ვტყუვდებით? თუ თვალ გახილული ვართ და ამისთანა საქმეებში ჩავდივართ, თუ ჩუენი საკუთარი ინტერესი არ დაჩუმდება საზოგადო ინტერესის წინ, მაშინ ჩუენს გზასა და კვალს ვერავინ გაიგებს, როგორც კოჭით ვერ შეიტყვეს და ამ შემთხვევაში პოეტის თანახმად ნაღველიანად უნდა დავმღერო:

აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?? (*)

თერგდალეული.

**10** ივნისს, **1862** წ. ქ. პავლოვსკი.

---

(*) ჩუენ თერგ დალეულს პასუხს არ ვაძლევთ, რადგანც მოლაყბემ იკისრა პასუხის მიცემა და ამასთანავე იბეჭდება ამ საგანზედ მოლაყბის შესავალი. უმეტესად ამისთჳს არ ვაძლევთ ჩუენ პასუხს, რომ ჩუენი და უფ. მოლაყბის აზრი სრულებით ერთია. რედ.

## სალაყბოს ფურცელი.

მოლაყბის მოგზაურობითგან დაბრუნება. — თანხმობაზედ საუბარი. — მიზეზი საქართველოდგან მოშორებისა. — მიზეზი თავის აღთქმის ვერ. შესრულებისა. — მოლაყმის სნეულებითი მდგომარეობა. —

დაჰკა ბიჭო! დაჰკა ბიჭო! სულ მაგისი ბრალია!. თქჳენი მტერი, თუ არ მოვშველებოდი საწყალს დაარჩობდნენ!... ოჰ! ქართველებს გაუმარჯოს! სხჳას არავის, სხჳებთან რა გული მაქჳს. არა ქართველთან მე საქმე არა მაქჳს. როგორ მშჳდობით ბძანდებით? როგორ ატარებთ დროს, როგორ მიდის თქჳენი საზოგადო კეთილმდგომარეობა, თქჳენი სიტყჳერება, თქჳენი მამაპაპური ზნეობა, დასდგომიხართ თუ არა თანხმობას? ეს უბედნიერესი გონებითი საგანი ხომ ისევ ისევ მწყრალათ არ არის თქჳენთან?:. დაიცათ ერთი ჯერ დავისვენო! მა-

გრამ სად? ეს რა ასნავია, ხალიჩაც აღარსად მოიპოვება. ესეც ჩემი სიკჳდილი. განა **ეგეც** დავკარგევით?მე **სკამებს** არ ვეწყობი;მე ნამდვილი ქართველური მინდა ყველაფერი, ქართველური, ფარდაგი მაინც არ დაგრჩათ! ჰო! აბა ეგ აი!... ძლივს, ქართულად არ მოვიკეცე. უჰ! რა დავიღალე. ახლავე შეიძლება გამოგელაპარაკოთ... რასაკჳრველია უცებ ასე, მოულოდნელად გამოჩენაზედ პირჯჳარს დაიწერით და იტყჳთ: ასე უცებ საიდგან **გამოტყვრაო**, აქამდის სად იყო მიმალული, რომ თვალით აღარ დაგვინახამსო. სად ვიყავი აქამდისინ? **სად** ვიყავი და, მრთელი ევროპა დავიარე, ჯანამეთის ქჳეყანაშიაცკი ვიყავი. მივიარ-მოვიარე და ისევ ჩემს საყვარელს ტფილს ქჳეყანაში, ჩემს მამულში მოვედი, ოჰ. რა კარგი ყოფილა უცხო ქჳეყნების ნახვა! ადრეც ვიღოდე მართალია, უცხო **ქჳეყნებში**, მაგრამ მაშინ პატარა ვიყავი, ტვინი სხჳა რიგათ მიხტოდა. წარმოიდგინეთ, თეთრი დათვის დანახვაცკი მიკჳრდა, რომელსაც ახლა ყურადღებასაც არ ვაძლევ; დასწყევლოს ღმერთმა, აქამდინ ძრიელ განკჳრვებას მოეცა ჩემი გოგრა: რა ვქნა, ევროპაშიაც ჩჳენისთანა კაცები არიან, ჩჳენისთანა თვალები, ცხჳრი. ყური აქჳსთ და რა ღმერთი გაუწყრა ისე განათლება ვერ მივიღეთ მეთქი. ჰაი დაშამათა ჩემმა სალოცავმა, მიზეზი რა ყოფილა!? თანხმობა, თანხმობას აუყვავებია მრთელი ევროპია, თანხმობას შეუსხამს ფრთები, რომ სულ ისე დიდრონ დიდრონს-იძახიან და[illegible]იმოდენა ყარამან ყათილის გურზები რომ უჭირავთ ჴელში და ქჳეყანას ემუქრებიან. თქჳენ არ იცით, რომ თანხმობა

კაცს გოგრას გამოაბამს, სრულს და ნამდჳლს გოგრას! რა არის უპირველესი საგანი ყოვლის ქუჱყნისათჳს, თუ არ თანხმობა. განათლება? შემიძლიან გაბედჳთა ვსთქუა, რომ განათლება მეორეს ხარისხზედა დგას. პირველი თანხმობა არის საჭირო ხალხისათჳს: თანხმობა გააჩენს განათლებასა. რათ მინდა შენი განათლება, თუ ერთმანერთსა ვწეწავთ, ვცემთ, ვტყეპთ.—თუ ღმერთი გრწამთ საყვარელნო ქართველებო, თანხმობა შევიყვაროთ, ჩამოვაგდოთ თანხმობა, ბევრს მოვიგებთ აქედან გარწმუნებთ, თქუჱნი ჭირიმე დამიჯერეთ, ამ ჩემს მოხსენებაში, ამ ჩემს ლაყბობაში დიდი ჭეშმარიტებაა, უმანკოს გულით და სულითა გთხოვ! განათლების გარდა, თანხმობითგან წარმოდგება სიმდიდრე, საზოგადო სიმდიდრე და კერძოობითი, თუ თანხმობა არის ჩუჱნში, ცხადია ერთმანერთისა სიყვარულიც გვექნება; თუ ერთმანერთი გვეყვარება, ცხადია სიმდიდრეც ჩამოვარდება.ვინც მე მიყვარს, რათ მინდა რომ ღარიბი იყოს; უეჭუჱლია, ვეცდებაი იმის გაკეთებას, ფეხზედ წამოყენებას, გაბედნიერებს, აგრეთვე კიდევ, ის, მეორე, თუ მესამე, ეცდება ჩემთჳს. აი რა ღონე აქუს თანხმობასა, რა სიყვარული მოაქუს,რა სიმდიდრე, რა ბედნიერება. მაგრამ სად არის, ეს წყეული შური არ გვეშვება; შური არის ჩუჱნი დამღუპავი; ერთმანერთის ზურგის მიცემის ნაცვლად. და თანხმობისა, იმასა ვცდილობთ, ვინც დაწინაურებულია სიმდიდრით, თუ ნიჭით, თუ სხჳთ, გვეჭიდებით უკან. გვინდათ ჩავთვლათ ლაფში და შევდგეთ ფეხით გასაქელავათ. ყოჩაღ! აფერუმ? ჴა, ბაშხალონიმ ბიჭო? დაჴკარ!

სულ მაგისი ბრალია?... ოჰ! საცოდაო გაცობრივობავ! საცოდავო ხალხო, რომელშიაც ბუდარაობს ეს ბოროტი თანხმობის წინააღმდეგი შური. ეს წყეული რას აგჳტ-ყდა, რას ჩაგვაცივდა? ნუთუ ჩუენის მეტი ხალხი აღარ იშოვნა ქუეყანაზედა? რატომ არ გვეშვება, რომ ერთი თავისუფლად ამოვისუნთქოთ და გადავდგათ წარმატე-ბის ბიჯი ჩუენის ქართველების ნიჭის შესაფერად (*) ვიცე, დამემუქარებით ადრინდელსავით, მაგრამ რათა, როდესაც ჩუენის თავისათჳს კეთილი მსურს, წარმატე-ბა, სიმდიდრე, ბედნიერებას; სულ, სულ, რაცკი რომ კეთილია ქუეყანაზედ. რა მიმარბევინებს უცხო ქუეყნებ-ში? რას ვეხეტები საკუთარს ხალხს მოკლებული უცხო ხალხში; რაზედ ვშორდები, ჩემს ძჳრფასს ქუეყანას, სამოთხეს, ყვავილოვანს, ბუნებით მდიდარს საქართველოს! რა დამიკარგამს და რას ვეძებ უცხო თემის ქუეყნებში; რა არის მიზეზი?... რა არის და, განა არ იცით, რაც არის: რომ ველარ გაუძლი ჩუენს მშუენიერთ თჳსებებს, ჩუენს ერმანერთის წეწას, გლეჯას? აქ ისმის ხმა ესა და ეს კაცი, ამა და ამან გამოაგდებინა აღა-გითგან და საზრდო მოაკლოო! (ყოჩაღ! აგრე!) ამა და ამან, ამასა და ამას ხრმალი ზედ კისერს შემოუსვაო!

---

(*) ნამდჳლს ქაქრთველებს ვუძახი იმ ხალხს, რომელიცა, დატიტინებს ქართულს ენაზედ, არ შემოიტანს სხუა ენების ლექსებს და უყვარს თავისი დედა ენა. მა-შასადამე ამ სიტყვაში იგულისხმება იმერელიც-

მოლაყბე.

(აფერუმ! მაშ, აგრე უნდა!) ამა და ამათ, ამასა და ამას მამულისათჳს კეტებით თავები დაამტვრიესო. მე მგონია მამულისათჳს, სპარსელებს ამტვრევენ თავებსა მეთქი, და თურმე, ასე უწყალოდ უწეწავთ ერთმანერთი ერთის მტკავლის მიწისათჳს, რომელსაც არც ერთი მხარე არ წამოიკიდებს ზურგზედ და არ წაიღებს საიქიოს! დამეწვო გული! ცეცხლი მომკიდა! მეგლიჯება!... ნეტავი ისევ სამზღჳარს გარეთ მეღოღიალა და ესენი არ შემეტყო!... ოჰ! რატომ არა მაქჳს... ფუ! შეგარცხჳნა ღმერთმა ჩემო თავო! რაებს ბოდამ? ნუ გადადიხარ გონიერების სამზღვარს? ხომ იცი კარგათ რაც წარმოდგება, მაგ ბოდვისაგან!.. სუს! ეს რაღა ანბავია? ხმა გაიგმიტკო! სწორე არა თქჳარაო, ჩემი თავი თჳთან მევე მიბძანებს! მეტი რა გზაა, გონიერს პირუტყვს უგუნურს პირუტყვათ მაქცევს დროება. რა გაეწყობა. განა ამ დროსაც შევესწარ!... ნუ გამოეკიდები ამ გვარებს, თორემ მრიელ შორს გამიტაცებს გულის დამაწურულებელი აზრები. ისევე ჩემს საყვარელს გონებით საგანს, თანხმობას უნდა დაუხჳო, რადგანაც პირველი, ხალხის ზნეობის განმართველი, არის ეს მჳრფასი საუნჯე! ახლა ამას მიბძანებთ, ეს მამაცხონებული,(იქნება სხჳა ლექსებითაც მომისსენიოთ) არა, ამ უთანხმოებას რას ჩაასცივდაო!... სწორეთ ჩავაცივდი! რაცა მტკივა. ის მაგონდება; რაც მეწჳს ის მიწყრულებს გულსა; რაც ზურგზედ ბარგი მკიდია, ის მტანჯავს და მქენჯნის! არ იქნა, ვერ მოვიშორე [illegible] წყეული ბარგი, რომ ქვების სუბუქათ, თავისუფლად [illegible] ქლო და თავისუფლად დამემღერა თანხმობის დღეუმ-

ზედ?.. ოჰ! რა მამულის სიყვარულის სიმღიერებს და-ვმღერიდი!.. მაშინ ნახავდით, როგორ შევარყევდი თქ-ჳჱნის გრძნობის შინაგანს სიმს: —როდესაც ტყეში მგზავრი მიმავალობს, რაც უნდა ცუდის ხმის მქონებე-ლი და უჯინშო კაცი იყოს, რომ ღრიალებს, იმ ღრიალში, რათა ჰპოვებს რაღაც მიუწთომელს სულის სიმშჳდეს? რათა? რათა და, ამათ, რომ მაშინ ის სრული თავისუფა-ლია, თავისუფლად წარმოსთქჳამს რაცა სურს; იმისი ყურის მგდებელი არის ბუნება. რომელმაცა დაჰბადა და რომლით დაღოღიალებს წარმავალს სოფელში, უაზროთ, უსაგნოთ, უთავბოლოთ!... აი! წაველი! რა ვქნა! რო-დესაც ამ აზრებს გამოუდგები, თითქოს ქარი მაქვსო სხეულში, კლდები მებმიან, აღარ მოქმედებენ, თითქოს შეკრული მაქჳსო!!.. მაშ ნუ დამემდურებით, ჩემს ავათ-მყოფობას დაუმდურენით, რომ კარგს საგანზედ, ვერა მოგახსენოთრა!... რა ვქნა, სნეული ვარ, წყეულს შინა-განს ოჯსებასა ჰკითხეთ, ეს იგი—სნეულებას, რომლით შეკრული ვარ; მაგრამ ესეცკი უნდა მოგახსენოთ, ჰქიმ-მაც აღმიკრძალა: როდესაც ამ გვარებს გამოუდგები, სნეულე-ბა გაგიახლდება.და მაგ გვარ სნეულებას ტანჯვითი სიკჳდი-ლიც მოსდევსო!... მაშ მშჳდობით ბძანდებოდეთ საყვა-რელო ქართველებო იქამდინ, ვიდრე მეორეს «ცისკრის» წიგნში მნახავდეთ. იქ ბევრი რამ უნდა მოგახსენოთ, თუ მინამდინ ჩემმა სნეულებამ არ მისწრო და უდროოთ არ მომისო სიკჳდილის ცელი, რომელსაცა ვერიდები იქამდინ, ვიდრე ჩჳჱნში თანხმობას არა ვნახამ, მერე მადლობა ღმერთს, მოკჳდა დამარხეს; დამარხეს, დაივიწ-

უეს, როგორც ანბობს ჰამლეტში ინგლიზელთ მოლექსე დიდი შექსპირი; დაეხსენი დაივიწყეთ თქუენნი ლაზღანდარა მოლაყბე, ოღონდა თანხმობით კეთილმდგომარეობაში იყვენით ქართველნო! სადაც თანხმობა არ არის, იმ ხალხში ხშირად სმის ეს: უთანხმო ხალხში სახალხოდ მიღებული სიტყვები: დაჰკა, დაჰკა ბიჭო! სულ მაგ ისი ბრალია!....

მოლაყბე.

## ქალთ-ექიმობასა ზედა.

ამას წინეთ, არ მახსოვს სახელდობ რომელ გაზეთში იყო, წავიკითხე სურვილი ქალთა, განცხადებული ხარკოვის უნივერსიტეტის მართველისადმი მას ზედა, რათა მათ მისცემოდათ ნება უნივერსიტეტში სიარულისა ლექციების სასმენელად, ექიმობის ფაკულტეტში იმ პირობით, რომ დასასრულ კურსისა ისინი ღირს შექმნილიყვნენ, მზგავსად სტუდენტებთა, მიღებისა იმა სამართლეთა და უპირატესობათა, რომელთაცა დაიმსახურებენ წარმატებანი მათნი აღრჩეულ მათ მიერ სწავლაში. მმართველობამ კეთილად სცნა გახლჯძება ესე ვითარისა სურვილისა ქალთა შინა და აღუთქუა მოკლეს დროში დაკმაყოფილება მათის განზრახვისა. ამის თაობაზედ ვაძლევ თავსა ჩემსა ნებას, რათა ვსთქუა ორიოდე სიტყუა. მე მოხარულ შევიქმენ უწყებითა მით ქალთ ექიმობასა ზედა,

მე ვანბობ რუსეთში, ვინაჲდგან ევროპიაში და ამერიკაში უკუ̂ე დიდის ხნიდგან არსებობენ ქალნი ექიმნი. და რათა არ ეჩუ̂ენოს არა ვისმეს ვითარმედ მოხარულობასა ჩემსა, არა აქუ̂ნდეს საფუძვლიანი მიზეზი თჳსი მყოფობისა, მე მოვიტან რაოდენთამე დამტკიცებასა: ფიზიოლოგია (1) ცხადათ გვიმტკიცებს, რომ ქალნი, საზოგადოდ, სხეულებითად (ფიზიკურად) ბევრათ უფრო სუსტნი არიან, ვირემც კაცნი; და მაშასადამე იგინი უფრო ხშირად ექუ̂ემევრდომებიან სხუ̂ა და სხუ̂ა ნაირ სნეულებასა, ვირემც კაცნი; ხოლო აქედგან რა შეუდგების? ცხად არს იგი, რომ ქალნი უფრო ხშირად უნდა თხოულობდენ შემწეობასა ექიმისასა, ვირემც ჩუ̂ენ. მაგრამ, ჩემდა უსიამოვნოდ, გამოცდილება გვეუბნება სხუ̂ებრ, ქალნი უფრო იშჳათად მიმართულობენ შემწეობისადმი ექიმისა, ვირემც სხუ̂ანი. და რაჲ არს მიზეზი? ჩემის ჰაზრით აი მიზეზი: ქალთ ბუნებითად აქუ̂სთ მორცხვენლობა ასე რომ, ოდეს იგი იგრძნობს თჳს შორის მირუ̂ელთა ნიშანთა ვითარიმე შეუძლებლობისასა გინა სნეულებისასა, იგი არ მიიქცევა მსწრაფლ შემწეობისადმი ექიმისა და არ მიიქცევა პირუ̂ელად და უმთავრესად მისთჳს, რომ მორცხვენლობა თჳსი რაო-

(1) ფიზიოლოგია არს სწავლა სხეულებით.. სიცოცხლისათჳს კაცისა, ესე იგი, იგი წარმოგვიდგენს იმა კანონთა ძალისამებრ, რომელთა მოქმედებს ჩუ̂ენში თჳთეული წარმოებაჲ ბუნებისა, გინა თჳთ სიცოცხლე ჩუ̂ენი.

დენიმედ იკავებს მას; მეორედ მისთჳს, თუ ჰაზრი: ეგებ თავისით გარდიაროს, და ანუ ეგებ შინაურული, ისევ ქალური წამლით განვლოს სატკივარმან, კვალად იკავებს მას; მესამედ მორიდება ხარჯთა, რომელთაც თხოულობენ შრომა და გარჯილობა ექიმისა და ყოვლად ფასი წამლისა. ქალი მყოფი ქჵშე ესე ვითართ ჰაზრთა, ყურს მიუგდებს სნეულებასა თჳსსა, მისცემს მას დროსა, რათა გალჳვდეს და გადიდდეს იგი სხეულსა შინა თჳსსა და ესრედ მდგომარეობაშიდ დაჰყოფს იგი იმ დრომდი, ოდეს სნეულება, განძლიერებული უწამლობითა, დაუწყებს მას დამქრებასა სიკჳდილით, მაშინკი, საბრალო მსხუერპლი თჳსის შეცთომილებისა, მსწრაფელ აფრენს კაცსა ექიმთან და ხშირად ორთანაც. მაგრამ ვაჲ არს მათი მოსვლა! რაოდენიმე მინუთის შემდგომ გამოვლენ იგინი საწოლისაგან სნეულისა ტუჩებ ზევით აწეულნი და თავ გარდზედ მოქცეულნი. ცხადი ნიშანი უიმედობისა. შემდგომ არა განვლის მცირე დრო, სნეული დასცხრება ავათმყოფობისაგან; იგი დაასრულებს უკანასკნელთა წუთთა თჳსს ქჵკანაზედ ყოფნისასა. აწ ვკითხამ: რაჲ იყო მიზეზი მისის სიკჳდილისა? უეჭუელად ზემო აღწერილნი გარემოებანი; რამეთუ არა არს ეჭვი თუმცალა მას ესე გარემოებანი უკუ მიექცია, ესე იგი უკეთუ მას პირველნი ნიშნებისათანავე ავათმყოფობისა ეფიქრა, თუ მორცხვნილობა იმ გვარ საგანში, რომლითაც გარდაწყჳტების საქმე მისი სიკჳდილ სიცოცხლისა არს უჭკუობა; უკეთუ მას ცოდნოდა, თუ თჳსი უმცირესი სნეულება, ადვილად მოსასპობელი იყო ყამსა 'მი-

სისა დაწყებისასა უქიმობისაგამო გარდაქცევის მომა-კჳდინებელ სნეულებად, და სხჳანი. მაშინ იგი არ შე-ქმნებოდა მსხჳერპლი უდროოს სიკჳდილისა, გარნა დღეს, ოდეს შემოვლენ ქალნი ექიმნი მმართებლობის მიერ დანიშნულნი, მსწავლულნი და რაოდენიმედ დახელო-ვნებულნი გამოცდილებითა, მაშინ რიცხჳ მსხჳერპლთა ადრიან სიკჳდილისა უეჭუელად შემცირდების. მაშინ პირუელ არ ჩემიერ ზემო აღნიშნულთ გარემოებათა არ ექმნებათ ადგილი თჳსის მყოფობისა, ვინაჲდგან ქალი სიმხიარულით მოიპატიჟებს თჳნიერ დაგვიანებისა ქალსა ექიმსა, და გარეშე ყოვლისა მორცხვენილობისა გაუმხელს მას ყოველთა მიზეზთა შემთხვეულ მისდამი სნეულებისასა, ვინემც რომ კაცსა, რომლისადმი აქუს ბუნებითი მორცხვენილობა. აი მეზეზი ჩემის მოხარუ-ლობისა. ვგონებ აწ იყოს უსაფუძვლო, ვგონებ არცადა თქუენ უპატივცემულესო მკითხველო, დაშთეთ თჳნიერ მონაწილეობისა ამა ჩემს მოხარულობასა შინა.

გარნა ვალისამებრ სიმართლისა უნდა ვსთქუა, თუ მოხარულობა ესე ჩემი ჯერეთ კიდევ არა არს სრული, რათამცა იგი შეიქმნეს სრული, საჭირო არს, ჩემის ფი-ქრით, განარსება ამა ჩემის გულითადის სურვილისა, რომელიცა მდგომარეობს მას შინა, რათა საზოგადოდ ქალთა შორის მოეფინოს, რაოდენსამე მაინც, ფრიად შემოკლებითად, სწავლა ექიმობისა და უფროსლა ფიზი-ალოგიისა. ჩემის ჰაზრით ქალთათჳს უფრო საჭირო არს შოვნა სწავლისა ხსენებულთ საგნებში, ვინემც კაც-თათჳს ქალი აძლევს ქუეყანასა შვილთა, სიმართლეობა

და უძლურება რომელთა დამოკიდებულნი არიან უფროს-ლა დედისაგან, დედის ფიზიკურთ და ზნეობით მდგომარეობისაგან, აქედგან იშობების საჭიროება ყოველ დედისათვის, რათა მან იზრუნოს ვითარ ხორციელ. ეგრეთვე სულიერის სიმრთელისათვის თჳსთა შჳლთა, გარნა ნუ თუ ძალუძს დედას ქონვა ესრეთის მზრუნველობისა ოდეს, თჳთ იგი ვერას ცნობს თავსა თჳსსა? ქ'ე იგი უცხო არის ყოველთა ცნობათა იმა უმაღლეს ცვლილება-თა და ბუნებით განცხადებულებათა, რომელნიც წარმოებენ თჳს სხეულსა შინა თჳს შორის? ოდეს მისთჳს სწავლაჲ ფიზიოლოგიისა შეადგენს ჯერ ჯერობით ყოვლად უცხოსა ფრინველსა? მაშასადამე სურვილი ჩემი, რათა წრესა შინა სწავლათა, რომელნიც დღეს ეძლევიან ქალთა, ყოვლად შევიდეს სწავლა ფიზიოლოგიის და იმა ფიზიოლოგიისა, რომელ არს ჩემის ჰაზრით ბევრად უსაჭიროესი და ბევრად უსარგებლოესი მათთჳს, ვიდრემც სხუანი საგნები. ვამბობ, სურვილი ესე ჩემი უნდა იყოს შეწყნარებულ და კეთილად ცნობილ მრავალ-თაგან, და ოდეს იგი განარსდება, მაშინ. მე დარწმუნებული ვარ, რომ სიმრთელოვანება და საზოგადოდ გრძელ ცხოვრებაჲ კაცთ ნათესაობისა დაგჳრგჳნდებიან ბრწყინვალებითის წარმატებითა.

პეტრე ჩარექოვი.

**15** აგვისტოს **1862** წ.

ლეჩხუმში,

ს. ლაილაში.

—რომანი უ. გ. რჩეულოვისა, «თამარ ბატონის შვილი» ჩქარა გამოიცემა ცალკე წიგნად იმისი სყიდვაა შეიძლება ტფილისში თვით რჩეულოვის სახლში, კუკიაში;; გორში იმის ძმის პავლე რჩეულოვის სახლში და ქუთაისში: კნიაზ ვახტანგ გურამოვის სახლში. ფასი ერთი მანეთი.

—ქართულს ენაზედ დაიბეჭდა წიგნი «ნაპოლეონის მოკლე ცხოვრება, ხასიეთების აღწერა და ანეკდოტები» და იყიდება ათ-ათ შაურათ უ. ეფენჯიანის მაღაზიაში..

**40** გვერდზედ ტიპოგრაფიის შეცდომით დაბეჭდილია «მაშა მე» გთხოვთ წაიკითხოთ, მაშასადამე.

—«ყოველი» წაიკ. ყოველნი.

**43** გვერდ. «გაგნებაზედ» წაიკ. განგებაზედ.